ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 13 აგვისტო, 2018 | №190 (7735) | ფასი: 60 თეთრი

## დოლიძეზე 42 წლის ლევან სიგუა მოკლეს



გვ.7

# ზაზა სარალიძე: „ახლა გერმანიის ციხეში ვიჯდებოდი, ამათი გეგმა რომ შესრულებულიყო“



„მალხაზ მაჩალიკაშვილის დაკავებას პანკისში პროვოკაციები მოჰყვებოდა“

„შვილმოკლული მშობლები ამ სისტემას აუცილებლად დავანგრევთ“

გვ.2

## მეუფე იაკობი: „ვიტყვი, ვინ ცდილობდა პატრიარქის მოცილებას“



„ის ბიზნესმენი, რომელიც ამ ჯგუფს აფინანსებს, ჭკვიანად იყოს!“

გვ.2

## „ჩვენ რომ გვებრძოლა, კოდორის ხეობას რუსები იოლად ვერ აიღებდნენ“



რას იხსენებს თემურ მჟავიას დაცვის უფროსი ელგუჯა მეგრელიშვილი

გვ.4

## ვახტანგ ძაბირაძე: „მეორე ტური ვაშაძესა და უსუფაშვილს შორის გაიმართება“



გვ.2

**სამართალი** გვ.7

## „ჩვენ მარიხუანის ლეგალიზება არ მოგვიხდენია“

საკონსტიტუციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებას განმარტავს







## ავარია ტრაბზონში — დაშავდა საქართველოს 5 მოქალაქე

## სისხლიანი სუფრა ნინოწმინდაში

2 მამაკაცის მკვლელობისთვის მასპინძელი დააკავეს



**ეკონომიკა** გვ.6



## რომან გოცირიძე: „ტურიზმი პიკზეა, ექსპორტი იზრდება, ლარი მაინც უფასურდება“



## დედამიწაზე იმდენი $CO_2$-ია, რომ მხოლოდ ხეების დარგვა საკმარისი არ არის



## „სასურველია კიდევ ერთი მსხვილი ბანკის ბაზარზე შემოსვლა“

ISSN 1987-9385

**5** რისთვის დასჭირდა რუსეთს აფხაზეთის რკინიგზის თემის წამოწევა?

**3** ვიქტორ შენდეროვიჩი: „ცხინვალში ომი რუსეთმა დაიწყო“

**7** ხულოში 31 წლის ქალს 50 წლის მამაკაცმა 14 ჭრილობა მიაყენა

**8** სიეტლში თვითმფრინავის გამტაცებელმა სიცოცხლის ბოლო წუთებში დისპეტჩერებს გული გადაუშალა

# მეუფე იაკობი: „ვიტყვი, ვინ ცდილობდა პატრიარქის მოცილებას“

შორენა მარსაგიშვილი

ქართული ეკლესია ახალი სკანდალის წინაშეა. პატრიარქის ქორეპისკოპოსი, მეუფე იაკობი, საპატრიარქოს მტრების გამომჟღავნებით იმუქრება. ქადაგებაში ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გარკვეულ ძალებს პატრიარქის მოცილება სურდათ.

ციანიდის საქმის შემდეგ ბოდბელი ეპისკოპოსი არაერთხელ გახდა თავდასხმის ობიექტი. ამ საქმეზე დაკავებული დეკანოზი გიორგი მამალაძე და მისი ახლობლები ამ პროვოკაციის მოწყობაში მას ადანაშაულებდნენ.

ქორეპისკოპოსის მიმართ პრეტენზიები ჰქონდა მეუფე პეტრესაც. მან რამდენიმე ხმაურიანი განცხადებაც გააკეთა.

ერთი პერიოდი ბოდბელი ეპისკოპოსი აქტიურად პასუხობდა, მერე რამდენიმე თვე მდუმარებაში ყოფნა ამჯობინა. ახლა, ეტყობა, ძალიან გაბრაზდა და გადაწყვიტა, ოპონენტებისთვის პასუხი გაეცა.

თავისი სათქმელი მეუფე იაკობმა საკმაოდ მკვახედ თქვა. ქადაგებაში მან მედიაც გააკრიტიკა. მისი თქმით, ის კამპანია, რომელიც ახლა მიმდინარეობს, ერთ მიზანს ისახავს – ეკლესიაზე კარგი წარმოდგენა არავის უნდა ჰქონდეს.

– მამა თეიმურაზმა მოგილოცათ ჩვენი ერთ-ერთი უდიდესი წმინდანის, ცოტნე ალმსარებლის ხსენების დღე. შევხედოთ, რამდენი წელი გავიდა მის მერე, მისი მაგალითი ყოველთვის ჩვენს გულებშია და, როდესაც საქმე საქმეზე მიდგება, ბევრ რამეზე დაგვაფიქრებს ხოლმე.



## „ის ბიზნესმენი, რომელიც ამ ჯგუფს აფინანსებს, ჭკვიანად იყოს!“

გადავხედოთ დღევანდელ საზოგადოებას, თუ როგორ შეიძლება, საზოგადოების ნაწილი ისე დაეცეს, რომ ცოტნე ალმსარებლის ქვეყანაში ავაზაკს, პატრიარქის მოცილება რომელსაც უნდოდა, იმ დაჯგუფების ერთ-ერთ წევრს, აცხადებენ ლამის გმირად. ეს დიდი სირცხვილია.

გასაგებია, რომ ეკლესიას ებრძვიან და უნდათ, თითოეულ ჩვენგანზე საზოგადოებაში შემოიტანონ აზრი, რომ არც ეპისკოპოსებზე, არც ბერმონაზვნებზე, არც მორწმუნეებზე, არც სამღვდელოებაზე კარგი წარმოდგენა არავის ჰქონდეს. შეხედეთ, რამდენი ხანია, თითქმის 2 წელია, მაგათ ავაზაკობას ვითმენ, ვუსმენ.

არ გეგონოთ, რომ შეწყალების მოწინააღმდეგე ვარ. პრეზიდენტმა უნდა გადაწყვიტოს, შეიწყალებს თუ არა და ეს მისი საქმეა, რაშიც ვერ ჩავერევი. ვისაც პატრიარქის მოცილება უნდა და იმას კაცად აცხადებენ, თავიდანვე რომ კაცი არ არის, როგორ უნდა იყოს ის მღვდელი ან ვინმე. დაგვაცადონ, ჩავატარებთ სინოდს და ყველა ვნახავთ, ვინ არის მტერი ეკლესიის, სამშობლოს მტერი და ვინ არის მოყვარე. ასე არ შეიძლება – არც გვარამიას, არც გაბუნიას, არც ნოდარ მელაძისა და არც ინგა გრიგოლიას გადასაწყვეტი არ არის ეკლესიის შიდა საქმეები, – განაცხადა მეუფე იაკობმა.

ბოდბელი ეპისკოპოსის თქმით, ეს დაჯგუფება მას ებრძვის. ის პირობას დებს, რომ თუ დეკანოზ გიორგი მამალაძეს გამოუშვებენ, იტყვის, ვინ და რის გაკეთებას აპირებდა.

– გამოუშვან, არ მაქვს პრობლემა, თუმცა, რასაც ვითმენდით, სანამ ციხეში იყო და როგორც მლანძღავდნენ, თითქოს მე დავაჭერინე, მე შევუკვეთე ციანიდი? მაგათ რა ჰგონიათ, არ ვიტყვი, რას აპირებდნენ და როგორ აპირებდნენ?! სხვებზეც არ ვიტყვი, უნდოდათ თუ არა პატრიარქის მოცილება?! იმიტომ მებრძვიან, რომ არ დავანებე მაგათ. მშიშარას მიწოდებენ და შიშით ისე მელაპარაკებიან, რომ ზოგი ინგა გრიგოლიას კალთას ეფარება, ზოგი მელაძის, – აღნიშნავს ქორეპისკოპოსი.

ის ამბობს, რომ სახელმწიფოს თუ არ შეუძლია, ის დაიცავს პატრიარქს და სამართლიანობის აღდგენას სხვა მიმართულებითაც შეეცდება.

– ბერობა და ეპისკოპოსობა ლაჩრობას არ ნიშნავს, ჩემს პატრიარქს ბოლომდე დავიცავ. საკმაოდ დიდი ძალაა, რომელიც პატრიარქს დაიცავს. სახელმწიფოს თუ არ შეუძლია სამართლიანობის აღდგენა, მე დავიწყებ ჩვენთანაც და ბევრგანაც, – განაცხადა მეუფე იაკობმა.

მისი თქმით, ჯგუფი, რომელიც მას ებრძვის, თავიდან მამა კახაბერ გოგოტიშვილის დაშანტაჟებას ცდილობდა.

ეპისკოპოსი აცნობიერებს, რომ მის განცხადებას ბევრი, როგორც მუქარას, ისე აღიქვამს, ამიტომ წინასწარ ამბობს, რომ არავის ემუქრება.

– რაც დაჭერილია, ჯერ მამა კახაბერ გოგოტიშვილთან მიდიოდნენ და შანტაჟის ენით ელაპარაკებოდნენ. მე ვეუბნებოდი, არავითარი დათმობა – თუ რამე ფაქტი აქვთ, დადონ. არაფერი აქვთ, თავიანთი ავაზაკობის გარდა. 50 მილიონი და 6 მილიონიო, უწმინდესმა რომ ბრძანა, არ ვიცოდიო, ლამაზი თვალების გამო აძლევდნენ უცხოელები მამა გიორგის? იქიდან დიდი პროცენტი ხვდებოდა მაგას და რატომ არ ფიქრობთ, რომ ბოროტ საქმეში უნდოდა მაგის გამოყენება? არავის ეგონოს, ვინმეს რამე დავუთმო. ასე რომ ვლაპარაკობ, ეს მუქარა გგონიათ, მაგრამ ეს მუქარა არ არის. მე საქმით ვაჩვენებ, ვინ რას დაიმსახურებს, – აღნიშნა ბოდბელმა ეპისკოპოსმა.

ქადაგებაში ის ერთ ბიზნესმენზეც საუბრობს, რომელიც, მისი თქმით, კონკრეტულ ჯგუფს აფინანსებს.

ქორეპისკოპოსს სახელმწიფოსთან და მეუფე პეტრესთანაც აქვს კითხვები, აინტერესებს, იციან მათ თუ არა მამა გიორგი მამალაძის წარსული. მას იმის გაგებაც აინტერესებს, რატომ დაუწვეს მანქანა და როგორ მოხვდა ქართულ ეკლესიაში.

– სახელმწიფოსიც მიკვირს, არ იციან ამდენი ხანი მისი ავაზაკობა? რუსეთის ეკლესიის წევრი და იმათი მღვდელმსახური იყო ეს მამალაძე. მანქანა რომ დაუწვეს და ძლივს გამოასწრო, ჩვენმა ეკლესიამ რატომ შეიფარა, ჩემთვის დღემდე გაუგებარია. იმ ავაზაკს რატომ იცავენ? დაუსვან მეუფე პეტრეს კითხვა, იცის თუ არა ეს საკითხი და რატომ იცავს მერე?

თურმე 2013 წლის 17 მაისის გამო მე ვყოფილვარ ერის სირცხვილი. ვნახოთ, ვინ არის სირცხვილი და მაგასაც ვნახავთ. ის ბიზნესმენი ჭკვიანად იყოს, ვინც აფინანსებს მაგათ, გადაცემებში ფულს რომ იხდის. ყველას ვამხელ და ყველა თავისას მიიღებს! – განაცხადა ქორეპისკოპოსმა.

# „მეორე ტური ვაშაძესა და უსუფაშვილს შორის გაიმართება“



პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საპრეზიდენტო არჩევნებზე საუბრობს.

ნათია ხურცილავა

***– ბატონო ვახტანგ, მას შემდეგ, რაც სალომე ზურაბიშვილმა აგვისტოს ომის დაწყების საკითხზე განცხადებები გააკეთა, რასაც „ქართული ოცნება“ გაემიჯნა, ხომ არ ფიქრობთ, რომ არჩევნებზეც გაემიჯნოს?***



– ხელისუფლებამ უკან დასახევი გზა დაიტოვა, როდესაც განაცხადა, რომ არ აპირებს, მხარი დაუჭიროს რომელიმე კანდიდატს. ოპოზიციისა და გარკვეულწილად მედიის განწყობა სალომე ზურაბიშვილის ბოლო განცხადებებზე ცალსახაა. ეს იყო შტურმი.

***– ამის შემდეგ როგორი იქნება „ოცნების“ პოზიცია?***

– მე მაინც მგონია, რომ „ოცნება“ ჯერ კიდევ ლოდინის რეჟიმშია. ხელისუფლება აკვირდება, რა რეაქცია გამოიწვია ამ განცხადებებმა და ამ გამოსვლებმა არა მხოლოდ სოციალურ ქსელებში, არამედ მთლიანად მოსახლეობაში.

სალომე ზურაბიშვილმა ამ განცხადებებით „ოცნებას“ მეტი მანევრირების საშუალება მისცა. ამიტომ „ოცნებისთვის“ თუ უფრო უკეთესი ვარიანტი გამოჩნდება ან გამოჩნდება დამოუკიდებელი კანდიდატი, რომელიც ხელისუფლების ნდობას მოიპოვებს, მაშინ მისი მხარდაჭერა სწორედ ამ კანდიდატისკენ იქნება მიმართული და არა სალომე ზურაბიშვილისკენ.

***– ვინ შეიძლება, უკეთესი ვარიანტი იყოს?***

– დღეს ხელისუფლებას არჩევნების წაგება არ შეუძლია, რადგან, თუ ხელისუფლება წააგებს ამ არჩევნებს (მონაწილეობის შემთხვევაში), ეს იმას ნიშნავს, რომ ის 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს პირწმინდად წააგებს. „ოცნებამ“ კარგად იცის, რომ დაცურება და კისრის მოტეხა ერთი და იგივეა. თუმცა, დღეის მდგომარეობით, „ოცნება“ ამ არჩევნებს გაერიდა და ასეთი პირდაპირი დარტყმა არ გამოვა.

ზოგადად, „ქართული ოცნებისთვის“ ამ პოზიციიდან დიდი მნიშვნელობა ნამდვილად არ აქვს, თუ ვინ იქნება პრეზიდენტი, იმ სამართლებრივი მექანიზმებიდან გამომდინარე, რომლებიც ახალ პრეზიდენტს ექნება კონსტიტუციის ახალი რედაქციის ამოქმედების შემდეგ. ამიტომ ასეთი ღია მხარდაჭერისგან „ოცნება“ თავს შეიკავებს.

***– ვინც არ უნდა იყოს კანდიდატი?***

– დიახ. ალბათ არავის დაუჭერს მხარს და ეს ყველაზე უკეთესი პოზიცია იქნება „ოცნებისთვის.“

***– გამორიცხავთ, რომ ბოლო წუთში ვინმე შემოაგდონ?***

– არა მგონია, ასე განვითარდეს მოვლენები. „ოცნებამ“ არჩევანი უნდა გააკეთოს: ან მართლაც საერთოდ უნდა გაერიდოს პროცესებს, ან, თუ უნდა, ჩაერთოს, მაშინ ღიად უნდა თქვას ეს. ერთი ცალსახაა: თუ „ქართული ოცნება“ საკუთარ კანდიდატურას არ დააყენებს, მაშინ მეორე ტური გარდაუვალია.

***– უშვებთ ალბათობას, რომ მეორე ტურში ნაციონალური მოძრაობა და „ევროპული საქართველო“ გავიდნენ, თუ აქამდე არ მიიყვანს საქმეს „ოცნება“?***



## ვახტანგ ძაბირაძე: „სალომე ზურაბიშვილმა თავისი განცხადებებით „ოცნებას“ მანევრირების საშუალება მისცა“

– არა მგონია, მეორე ტურში ნაციონალური მოძრაობა და „ევროპული საქართველო“ გავიდნენ და, თუ გავლენ, ამით „ოცნება“ დიდად წაგებული არ დარჩება.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი
კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ზაზა სარალიძე: „ახლა გერმანიის ციხეში ვიჯდებოდი, ამათი გეგმა რომ შესრულებულიყო“

## „შვილმოკლული მშობლები ამ სისტემას აუცილებლად დავანგრევთ“

შორენა მარსაგიშვილი

რას აპირებენ შვილმოკლული მშობლები, რატომ აღარ დაიყენებენ გვერდით პოლიტიკოსებს, რა პროვოკაციას გეგმავდა ხელისუფლება პანკისის ხეობაში? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ზაზა სარალიძე ესაუბრება.

***– ივნისის დასაწყისში თქვენ მიერ დაწყებულმა საპროტესტო აქციებმა მთავარი პროკურორი და პრემიერი შეიწირა. ამ ყველაფრის შემდეგ თუ ელოდით, რომ სასამართლო ხორავას საქმეზე დაკავებულ რამდენიმე პირს გირაოთი გამოუშვებდა?***

– სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, რომ სასამართლო ასეთ უნამუსო და უსამართლო გადაწყვეტილებას გამოიტანდა. რადგან ამაზე წავიდნენ, პასუხად ისევ აქციებს მიიღებენ. სექტემბრიდან აქციების ახალი ტალღა დაიწყება, ოღონდ – პოლიტიკოსების გარეშე.

სექტემბრისთვის დაგეგმილი აქციებისთვის მთელი საზოგადოება უნდა გავერთიანდეთ და ეს ყველაფერი ყოველგვარი პოლიტიკის გარეშე გავაკეთოთ. ერთად უნდა დავდგეთ და შერჩევითი სამართალი ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოვსპოთ ქვეყანაში.

***– პოლიტიკოსების გარეშე რატომ გადაწყვიტეთ აქციების გამართვა?***

– პირველ რიგში იმიტომ, რომ რაღაც იარლიყები აღარ მომაწებონ.

***– აქციების გამართვას საზოგადოებასთან ერთად აპირებთ და გაქვთ იმედი, რომ ხალხი თქვენ გვერდით დადგება?***

– ხალხის იმედი რომ მაქვს, იმიტომ დავაანონსე ეს აქციები. თან ახლა სიტუაციაც შეიცვალა – ზაზა სარალიძეს კი აღარ სჭირდება გვერდში დგომა, არამედ ქვეყანას სჭირდება მხარდაჭერა.

ზაზა სარალიძე არც პირველი შვილმოკლული მშობელია და არც უკანასკნელი, რომელიც სამართალს ვერ პოულობს. ჩემს დღეში უამრავი ადამიანია, ჩვენი ბედი შესაძლოა კიდევ ბევრმა მშობელმა გაიზიაროს.

იმისთვის, რომ ქვეყანაში შერჩევითი სამართალი მოისპოს, აქციაზე ის ხალხიც უნდა მოვიდეს, რომლებიც წინა ხელისუფლების დროს დაზარალდნენ. ამ დღეებში ძალიან ბევრმა ადამიანმა მომმართა. მათ, ეტყობა, ჰგონიათ, რომ ბევრი რამის გაკეთება შემიძლია.

***– თქვენმა აქციებმა ზაფხულის დასაწყისში ჯერ მთავარი პროკურორი, შემდეგ კი პრემიერი გადაიყოლა. ასე რომ, რაღაცის გაკეთება მართლაც შეგიძლიათ.***

– ამას ხალხთან ერთად მივაღწიე. ახლაც ერთიანობა და ხალხის გამოსვლაა საჭირო, რომ სამართალმა პური ჭამოს. ჩვენი მთავარი ამოცანა შერჩევითი სამართლის დასრულებაა. ეს პოლიტიკოსებისა და პოლიტიკის გარეშე უნდა გავაკეთოთ.

მე თუ მკითხავთ, უკვე დროა, ხელისუფლებაში ახალი სახეები მოვიდნენ. სხვანაირად ხელისუფლების შეცვლას აზრი არა აქვს. როგორც არ უნდა შეიცვალოს ხელისუფლება, იქ წინა ხელისუფლების წარმომადგენლები მაინც დარჩებიან. „ოცნებაში“ დღეს 60-70% ნაციონალია.

***– საინტერესოა, რომ ყველაზე აქტიურად ეს ყოფილი ნაციონალები გადანაშაულებენ იმაში, რომ ნაციონალების მხარდამჭერი ხართ.***

– ეს იყო სიბინძურე და შავი პიარი. ხალხს არწმუნებდნენ, რომ ნაციონალები მედგნენ გვერდით. მე ნაციონალების გვერდით არასდროს დავმდგარვარ.

***– სამაგიეროდ, ისინი დადგნენ თქვენ გვერდით.***

– პირადად მე არც ნაციონალებისთვის და არც სხვა პარტიისთვის არ მითხოვია მხარდაჭერა. მხარდაჭერა მე ხალხს ვთხოვე. საზოგადოება ძალიან ჭრელია. ზოგი „ოცნებას“ უჭერს მხარს, ზოგი ნაციონალებს და ზოგი კიდევ – სხვას. საქართველოში უამრავი პოლიტიკური პარტიაა და ყველა მათგანს ჰყავს მხარდამჭერი.

საქართველოში ძალიან ცოტაა ისეთი ადამიანი, რომლებსაც არცერთი პარტიის მიმართ არა აქვთ სიმპათია. პირადად მე არც ერთი პოლიტიკური პარტია არ მომწონს და არც ერთ მათგანს არ ვემხრობი.

ასეთი განწყობა იმიტომ მაქვს, რომ მთელი ამდენი ხნის განმავლობაში პარტიებისგან ვერანაირი სიკეთე ვერ დავინახე. 39 წლის ვარ და 39 წელია ვუყურებ, რომ ეს პოლიტიკოსები მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე ფიქრობენ.

ამიტომაც არ იქნებიან ჩვენს აქციაზე ისინი. საქმე ხალხმა უნდა გააკეთოს. ამ დღეებში ყველამ კარგად ვნახეთ, რისი კადრება შეუძლიათ პოლიტიკოსებს. იმის ნაცვლად, რომ მკვლელები დასაჯონ, ჩემი მოშორება გადაწყვიტეს.

***– რას გულისხმობთ, როცა ამბობთ, ჩემი მოშორება გადაწყვიტესო?***

– აგვისტოს დასაწყისში მალხაზ მაჩალიკაშვილთან და ელისო კილაძესთან ერთად ვაპირებდი სტრასბურში წასვლას. საქართველოს ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ევროპაში მოეწყო ჩვენთვის პროვოკაცია.

მათ ევროპის ქვეყნებში გააგზავნეს ინფორმაციები, თითქოს მალხაზ მაჩალიკაშვილი ტერორიზმშია ეჭვმიტანილი. მიუნხენის აეროპორტში მას, როგორც ტერორისტებთან დაახლოებულს, ისე დააკავებდნენ. დაგვაკავებდნენ მე და ელისო კილაძესაც, რადგანაც მისი თანმხლები პირები ვიყავით. ყველაფერი მათი გეგმის მიხედვით რომ წასულიყო, ახლა მე გერმანიის ციხეში ვიჯდებოდი.

ფაქტია, რომ ამ დეზინფორმაციის გავრცელებით საქართველოს ხელისუფლება იყო დაინტერესებული. გერმანელ სამართალდამცავებს ამ ინფორმაციას სხვა ვერ მიაწვდიდა. კერძო პირებს რომ მიეწოდებინათ, არც დაუჯერებდნენ მათ ევროპაში.

ამ დეზინფორმაციის გავრცელებით ხელისუფლებამ ჩვენ, ფაქტობრივად, ქვეყნიდან გასვლა შეგვიზღუდა. გერმანიის ფედერალური პოლიციიდან შემოგვითვალეს, რომ სანამ ამ საქმის გამოძიება არ დასრულდება, საქართველოდან არ გავიდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში დაგვაკავებენ.

ისე გათავხედდნენ, რომ ტერორიზმში ამერიკის მოქალაქეც კი დაადანაშაულეს. სტრასბურში ჩვენს ჩასვლას ორგანიზებას სწორედ აშშ-ის მოქალაქე პაატა აბჟანდაძე უწევდა. კიდევ კარგი, რომ ის ჩვენზე ერთი დღით ადრე ჩაფრინდა მიუნხენში. დაკავებისას მას უთხრეს, იმ ჯგუფში, რომელსაც თქვენ მიაცილებთ, ერთ-ერთი პირი ტერორიზმშია ბრალდებულიო.

გერმანელმა სამართალდამცავებმა პაატა აბჟანდაძეს ქართული პასპორტი მოსთხოვეს და როცა ნახეს, რომ ის ამერიკის მოქალაქე იყო, შოკში ჩავარდნენ. შოკში ჩავარდა ამერიკაც, გამოძიების ფედერალურმა ბიურომ მაშინვე დაიწყო საქმის გამოძიება – რას ნიშნავს, ჩვენს მოქალაქეს ტერორისტობაში ადანაშაულებო.

მიუნხენში ჩვენი დაკავება მხოლოდ იმაზე არ იყო გათვლილი, რომ ზაზა სარალიძე და მალხაზ მაჩალიკაშვილი მოეშორებინათ. აქ უფრო შორსმიმავალი გეგმები იკვეთება.

***– რას გულისხმობთ?***

– ყველაფერი ისე რომ მომხდარიყო, როგორც ხელისუფლებას უნდოდა, პანკისის ხეობაში ვინმეს დავაჯერებდით, რომ ეს დაკავება ჩვენ მიერ არ იყო მოწყობილი? ამას ქისტებში ძალიან ცუდი გამოხმაურება მოჰყვებოდა. ცხელ გულზე ისინი ქართველებს დაუპირისპირდებოდნენ. რუსებს მეტი რა უნდოდათ, მაშინვე გადმოისროდნენ ხალხს პანკისში.



ეს არის ამ ხელისუფლების ჩანაფიქრი. სამწუხაროდ, ყველაფერზე ღიად საუბარი არ შეიძლება. სამ თვეში იმდენი რამე გავიგე, რომ შოკირებული და ძალიან აჟიტირებული ვარ.

იმან, რაც გავიგე, დამარწმუნა, რომ ამ ხელისუფლების პირობებში სამართალს ვერ ვიპოვი. ამის შანსი ნულის ტოლია.

***– საპარლამენტო კომისიის მუშაობაზე რას იტყვით? გაქვთ იმედი, რომ რამე შეიცვლება საქმეში?***

– საპარლამენტო კომისიის მუშაობას ერთი რაღაც ჰქონდა დადებითი – ეს სხდომები პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა და ხალხმა თავისი თვალით ნახა, ვინ რა დააშავა და ვინ ცდილობდა ამ საქმის გაფუჭებას.

საპარლამენტო კომისიამ ახლა დასკვნა უნდა დაწეროს. დაველოდები, რა დასკვნას მიიღებს პარლამენტი და ამის შემდეგ გავაკეთებ შეფასებას. ერთი რამეც იცოდეთ, რა დასკვნაც არ უნდა დადოს პარლამენტმა, საბოლოო გადაწყვეტილება მაინც პროკურატურამ უნდა მიიღოს.

***– პროკურატურის თქვენ არ გჯერათ.***

– რა თქმა უნდა, არ მჯერა. მთელი საქართველო ხედავს, რა უკანონობაც ხდება ჩემი შვილის საქმის გარშემო. რამდენიმე დღის წინ გირაოთი გამოუშვეს ის ხალხი, რომლებიც ჩემი შვილის საქმეზე იყვნენ დაკავებული. ეს გააკეთეს იმიტომ, რომ, იმედი ჰქონდათ, წყობილებიდან გამოვიდოდი.



### „მალხაზ მაჩალიკაშვილის დაკავებას პანკისში პროვოკაციები მოჰყვებოდა“

***– თქვენი წყობილებიდან გამოყვანა რაში სჭირდებოდათ?***

– იმედი ჰქონდათ, რომ რამე შეცდომას დავუშვებდი, მაგრამ გამორიცხულია, ზაზა სარალიძეს წყობილებიდან ვერ გამოიყვანენ. მყარად მაქვს გადაწყვეტილი, ამ საქმეს ბოლომდე მივყვე.

ძალიან ბევრი ადამიანია ჩემს დღეში, ძალიან ბევრი ვერ პოულობს სამართალს. სამართლის პოვნა მხოლოდ ერთად დგომით შეგვიძლია. ერთად თუ დავდგებით, აუცილებლად დავანგრევთ ამ მახინჯ სისტემას. სისტემა თუ არ დაინგრა, სამართალი არ იქნება.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, სექტემბერში დაგეგმილ აქციებზე პოლიტიკოსები არ იქნებიან. ეს იქნება სახალხო პროტესტი.

***– აქციაზე პოლიტიკოსებს არ მიუშვებთ?***

– ორგანიზატორებში არ იქნებიან და არც სიტყვით არ გამოვლენ. აქციას თუ დაესწრებიან, ამას ვერ ავუკრძალავთ. ამის უფლება საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს.

***– თქვენ ცოტა ხნის წინ პრემიერ მამუკა ბახტაძესთან ითხოვდით შეხვედრას. რამე ისმის მთავრობის ადმინისტრაციიდან?***

– არაფერი არ ისმის. არ შემხვდება მე პრემიერი. აღარც მინდა ეს შეხვედრა. მასთან საუბარი მანამდე მინდოდა, სანამ სტრასბურში წავიდოდი. იქ არ გაგვიშვეს. ახლა აქციებისთვის ვემზადებით.

***– ბევრი ხალხი თუ იქნა აქციაზე, ალბათ თავად მოვა იქ პრემიერი. რამდენიმე თვის წინ ასე მოიქცა გიორგი კვირიკაშვილიც.***

– ხალხი აუცილებლად მოვა. ძალიან ბევრი ადამიანი ეძებს საქართველოში სამართლიანობას.

***– მალხაზ მაჩალიკაშვილიც იქნება ამ აქციაზე?***

– რა თქმა უნდა. ჩვენ ერთად ვიბრძვით სიმართლისთვის. შვილმოკლული მშობლები აუცილებლად დავანგრევთ ამ სისტემას.

# ვიქტორ შენდეროვიჩი: „ცხინვალში ომი რუსეთმა დაიწყო“

ცნობილმა რუსმა მწერალმა და პუბლიცისტმა ვიქტორ შენდეროვიჩმა „ეხო მოსკვის“ ეთერში წამყვანს კითხვა შეაწყვეტინა და 2008 წლის მოვლენების გამო საქართველოს ბოდიში მოუხადა.

– ომი ჩვენ კი არა, საქართველომ გადაიტანა, ჩვენ ომი „შევნიშნეთ“, საქართველომ კი ომი გადაიტანა, რომელსაც საკმაოდ დიდი ტერიტორია „დაახიეს“. საქართველომ გადაიტანა, შეიძლება ითქვას, ბოლომდე არც გადაუტანია ეს ომი. ჩვენ კიდევ აზრზე მოსვლაც ვერ მოვასწარით, ისე „ავახიეთ“, ათი წლის წინ ახალი რუსული იმპერიალიზმი დაავადების აქტიურ ფაზაში შევიდა, როგორც ტუბერკულოზი. თავიდან ხველა იწყება და შემდეგ სისხლიანი ნახველი ამოდის. აი, ამას ვგულისხმობ, ათი წლის წინ ჩვენ სისხლიანი ნახველით ხველა დავიწყეთ. ადრე მხოლოდ ჩეჩნეთში ვღვრიდით სისხლს, ათი წლის წინ კი პირველი ინტერვენცია განხორციელდა, – აცხადებს შენდეროვიჩი.

მისი თქმით, რუსეთმა სამხრეთ ოსეთში რეპეტიცია გაიარა და შემდეგ ეს დახვეწილი



ფორმით უკრაინაში გაიმეორა.

– მე უნდა მოვინანიო, ათი წლის წინ ვიცოდი, რომ ჩვენები იტყუებოდნენ, მაგრამ ვერ წარმომედგინა ტყუილის სრული მასშტაბი, ათი წლის წინ ამას პუტინსა და სააკაშვილს თანაბრად ვდებდი ბრალად. არ არის აქ არანაირი თანაბარი პასუხისმგებლობა. ომი ჩვენებმა დაიწყეს იქამდე, 8 რიცხვამდე, სააკაშვილი პასუხობდა შეჭრაზე, – აცხადებს შენდეროვიჩი.

ნიუპოსტი

დასაწყისი მე-2 გვერდზე

# „მეორე ტური ვაშაძესა და უსუფაშვილს შორის გაიმართება“

***– ნაციონალური მოძრაობის კანდიდატის გამარჯვება მათი ხელისუფლებაში მობრუნების ტოლფასი არ იქნება?***

– ძალიან მცირე ალბათობაა, რომ ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი გახდეს გამარჯვებული. მე მაინც მგონია, რომ ცოტა სხვა მიმართულებით განვითარდება მოვლენები.

***– რას გულისხმობთ?***

– ზურაბიშვილი და უსუფაშვილი მუშაობენ, რომ „ქართული ოცნების“ ამომრჩეველი მიიმხრონ, რომ ეს ხმები მათ წაიღონ. „ოცნების“ ის ამომრჩეველი, რომელიც მხარს დაუჭერდა „ქართული ოცნების“ კანდიდატსა და „ოცნების“ ის ამომრჩეველიც, რომელიც უკვე აღარ დაუჭერს მათ მხარს, არჩევანს გააკეთებს არა ნაციონალური მოძრაობისა და „ევროპული საქართველოს“ სასარგებლოდ, არამედ დავით უსუფაშვილის ან სალომე ზურაბიშვილის სასარგებლოდ.

დღეს არსებული მონაცემებით, მე ვვარაუდობ, რომ მეორე ტური გრიგოლ ვაშაძესა და დავით უსუფაშვილს შორის გაიმართება. ამ შემთხვევაში ალბათ „ოცნება“ ჩაერთვება და აქ ექნება მას გადამწყვეტი სიტყვა. ალბათ, ეს სცენარები განიხილება, რაც რეალური სცენარებია, მაგრამ რას შეუძლია ამის დარღვევა? რასაკვირველია, თუ გიორგი მარგველაშვილი მიიღებს არჩევნებში მონაწილეობის გადაწყვეტილებას. გარკვეული რეზონანსი ექნება ალეკო ელისაშვილის ფაქტორსაც.

***– ივანიშვილის კანდიდატობას საერთოდ გამორიცხავთ?***

– როდესაც „ქართულ ოცნებაზეა“ საუბარი, რამის გამორიცხვა როგორ შეიძლება, მაგრამ მე ვერანაირ არგუმენტს ვერ ვხედავ იმის სასარგებლოდ, თუ რატომ უნდა იყაროს კენჭი ივანიშვილმა. ეს რა პლუსს მოუტანს ქვეყანას, არ ვიცი, თუმცა ვიცი, რა მინუსს მოუტანს: თუ ივანიშვილი კენჭს იყრის და პრეზიდენტი გახდება, ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ქაღალდზე გვექნება საპარლამენტო მმართველობა, რეალურად კი – საპრეზიდენტო.

მე მაქვს არგუმენტები, თუ რატომ უნდა იყოს ივანიშვილი პრემიერი, მაგრამ, რატომ უნდა იყოს პრეზიდენტი, ამის არგუმენტი არ მაქვს.

# „ჩვენ რომ გვებრძოლა, კოდორის ხეობას რუსები იოლად ვერ აიღებდნენ“

გულიკო ბალაძე

შეიძლებოდა თუ არა კოდორის დაცვა? რატომ არ გამოიყენა კოდორის დაცვისთვის ხელისუფლებამ ადგილობრივი მოსახლეობა? რატომ გამოიყვანა ჯარი კოდორიდან უბრძოლველად? „ახალ თაობას“ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის, თემურ მჟავიას, დაცვის უფროსი ელგუჯა მეგრელიშვილი ესაუბრა.

***– ბატონო ელგუჯა, თქვენ 2008 წელს ბრძანდებოდით აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თემურ მჟავიას დაცვის უფროსი და აგვისტოს ომის დროს კოდორში იმყოფებოდით. შეგიძლიათ გაიხსენოთ, როგორ ახვედით კოდორში? როდის წახვედით? იმ პერიოდისთვის რა ინფორმაცია გქონდათ?***

– 10 წლის განმავლობაში მძიმე ტვირთად მაწვა აგვისტოს ომის იმ ისტორიის გახსენება, რომელიც საზოგადოებას უნდა სცოდნოდა. ისტორია ეხება აგვისტოს ომის პერიოდში ჩვენს კოდორის ხეობაში ყოფნას.

***– მანამდე ინფორმაცია გქონდათ, კოდორში რა ხდებოდა?***

– 5 მაისს დამიძახა მაშინდელმა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თემურ მჟავიამ და მითხრა, რაღაც ძალიან არ მომწონს რუსების სარკინიგზო ჯარის შემოსვლა აფხაზეთში და ოჩამჩირე-გალის სარკინიგზო მონაკვეთზე მათი მუშაობა. ეჭვი არ მეპარება, რუსები ომისთვის ემზადებიანო. მაშინ რუსეთმა სარკინიგზო ჯარები შემოიყვანა აფხაზეთში და რკინიგზის აღდგენას ახდენდა.

***– რამე ინფორმაციას ფლობდა მათ შესახებ?***

– ინფორმაცია იყო, რომ რუსული სარკინიგზო ჯარები აფხაზეთში სარემონტო სამუშაოებს ატარებდნენ. შემდეგ 2008 წლის აგვისტოს დასაწყისში ბატონმა თემურმა მითხრა, რომ ჩვენი ყოფნა კოდორის ხეობაში უფრო საჭირო იქნებოდა. მაშინ უმაღლესმა საბჭომაც გააკეთა განცხადება, სადაც საერთაშორისო საზოგადოებას რუსეთის აგრესიული გეგმების შესახებ აფრთხილებდა.

***– აგვისტოს დასაწყისში რატომ მოინდომა ბატონმა მჟავიამ კოდორში წასვლა?***

– 5 აგვისტოს, როდესაც ცხინვალიდან მოსახლეობის ევაკუაცია დაიწყეს, ბატონმა თემურმა მიმიხმო და მითხრა, დღეს თუ ხვალ საომარი მოქმედებები დაიწყება და კოდორის ხეობაში წასასვლელად მოემზადეო.

***– ბატონ თემურს რამე ინფორმაცია ჰქონდა ცენტრალური ხელისუფლებიდან?***

– არ არის გამორიცხული, ინფორმაცია ჰქონოდა. თუმცა, წინასწარმეტყველივით რაღაც მოვლენებს ყოველთვის წინ ასწრებდა, კარგი ანალიზის უნარი აქვს. მისი ხედვა ძალიან მომწონდა. ყველა ნიშანი იყო, რომ რუსეთის აგრესია იქნებოდა – რკინიგზის აღდგენა, ოსი მოსახლეობის ცხინვალიდან გაყვანა. ძალიან ცუდი სიტუაცია შეიქმნა.

***– სიტუაცია იძაბებოდა და თქვენ გადაწყვიტეთ კოდორში წასვლა. რატომ?***

– ბატონმა თემურმა თქვა, სჯობს, იქ ვიყოთ, ჩვენი ტერიტორიაა, ჩვენი მოსახლეობაა და მათთან უნდა ვიყოთ კოდორის ხეობაშიო.

***– თვითონ წინააღმდეგობის გაწევას აპირებდა?***

– რაღაც გეგმები ჰქონდა. თბილისიდან გავემგზავრეთ, ქუთაისსა და ზუგდიდში, ჩვენს წარმომადგენლობებში შეიარა, ინფორმაციები მიიღო, ავედით კოდორში და განვთავსდით სამთავრობო კოტეჯებში. იქ იყო ჩვენი დისლოკაციის ადგილი.

***– სანამ კოდორში ახვიდოდით, გზაში იქიდან გამომავალი ხალხი არ გხვდებოდათ? თქვენთან ერთად გარკვეული პირები იმყოფებოდნენ, რომლებმაც მითხრეს, რომ გზაში მათ ხვდებოდა კოდორიდან მომავალი მოსახლეობა.***

– კი, გამოდიოდა ხალხი იმიტომ, რომ, ასე თუ ისე, რაღაც ინფორმაციები გააჩნდათ.

***– გზაში თუ გააჩერეთ და ჰკითხეთ, რატომ გამოდიოდნენ, რა სიტუაცია იყო კოდორში?***

– მოსახლეობასთან საუბარს ყოველთვის ვარიდებდი თავს. მე ჩემს მოვალეობას ვასრულებდი.

***– ბატონმა მჟავიამ ხომ არ იკითხა, რა მდგომარეობა, რატომ გამოდიხართო?***

– ბატონი თემური ესაუბრებოდა, კითხვებიც იყო და პასუხებიც.

***– რა თქვეს, რატომ გამოვდივართო?***



– გამოდიოდნენ, რადგან საშიშროება იყო, ხალხმა იცოდა, რომ რაღაც მზადდებოდა. ხედავდნენ, რომ ძალოვანი სტრუქტურები გადაადგილდებოდნენ.

***– ბრძანება იყო, რომ კოდორიდან მოსახლეობა გამოეყვანათ?***

– როგორც მახსოვს, ევაკუაციის ბრძანება არ ყოფილა.

***– ევაკუაციის ბრძანება არ იყო, მაგრამ ავტობუსებით ხალხი გამოჰყავდათ.***

– ავტობუსებით ხალხი 8-ში გამოიყვანეს. ზოგადად, კოდორიდან გამომავალი ხალხის რაოდენობა ჭარბობდა. ზოგი საკუთარი მანქანებით გამოდიოდა.

***– კოდორში რა სიტუაცია დაგხვდათ?***

– ქაოტური სიტუაცია, მაგრამ პანიკა არ ყოფილა. სვანები მაინც გამოირჩევიან თავიანთი ვაჟკაცობით, სიდინჯით. მაინც არ სჯეროდათ, რომ რაღაც შეიძლება მომხდარიყო. ბატონი თემური შეხვდა ადგილობრივ წარმომადგენლებს და სიტუაციას გაეცნო. როდესაც 8 აგვისტოს დაიწყო რუსული თვითმფრინავების გადაფრენა, ყურადღებით ვიყავით.

***– სამხედროებთან თუ გქონდათ ურთიერთობა, წინააღმდეგობის გაწევას არ აპირებდნენ?***

– ჩვენი ქვედანაყოფი ყველაფრისთვის მზად იყო.

***– იარაღი გქონდათ?***

– თავისთავად.

***– ქვედანაყოფს რომ ამბობთ, რამდენი კაცი იყავით დაცვაში?***

– 15 კაცზე მეტი. სპეცდანიშნულების ჯგუფი იყო, რომელიც პირველ პირს ემსახურებოდა, მის ევაკუაციას და ა.შ.

***– შემდეგ, როგორც ვიცი, თემურ მჟავიას ევაკუაცია მოახდინეთ. ასე მალე რატომ გამოხვედით, ბრძოლები ხომ არ იყო? ყველამ წინააღმდეგობის გარეშე დატოვა კოდორი, მათ შორის, შინაგანმა ჯარმა.***

– უშუალოდ სამხედროების გეგმების შესახებ ჩვენ არ გვქონდა ინფორმაცია და არც ვინტერესდებოდით.

***– რატომ არ ინტერესდებოდით?***

– ჩვენ გვქონდა ჩვენი დავალება, რაც პირნათლად შევასრულეთ.

***– რა დავალება გქონდათ?***

– შეგვეფასებინა იქაური სიტუაცია და მოგვეწოდებინა თბილისში უშუალოდ ჩვენი ხელმძღვანელობისთვის ჩვენი ობიექტის გადაადგილების შესახებ. ჩვენ ჩვენი ხელმძღვანელობა გვყავს – აფხაზეთის სპეციალური სამსახური, რომელიც, პრეზიდენტის დაცვის სამსახურთან ერთად, საქართველოს სპეციალური სამსახურის დაქვემდებარებაშია.

***– რატომ მოხდა კოდორის უბრძოლველად დატოვება?***

– იქ არ იყო ისეთი სიტუაცია, რომ მტერი შემოსულიყო და ჩვენ გვქონოდა შეხება. თუმცა, ხეობა იბომბებოდა. ხეობაში რამდენიმე ადგილი დაიბომბა. ჩვენ ვიყავით სამთავრობო კოტეჯებში, სადაც იყო ჩვენი დისლოკაციის ადგილი. დაბომბვის საშიშროება იყო. ამ საშიშროებას

## რას იხსენებს თემურ მჟავიას დაცვის უფროსი ელგუჯა მეგრელიშვილი

რომ გავრიდებოდით, მტერს ჩვენი დისლოკაციის ადგილისთვის არ მიეგნო და ზიანი არ მოეყენებინა, ღამით კოტეჯებიდან 300 მეტრის მოშორებით გავედით.

დილით მოვახსენე ხელმძღვანელობას, რომ სიტუაცია დაიძაბა. საშიშროება იყო, დივერსიული ჯგუფები შემოსულიყო. ბატონი თემური კი თანამდებობის პირი და პოლიტიკოსია. ხელმძღვანელობამ მომცა ბრძანება, თემურ მჟავია კოდორის ხეობიდან გამოგვეყვანა. მას კი გამოსვლა არ უნდოდა.

***– თუმცა, შემდეგ დაგთანხმდათ. როგორ დაითანხმეთ?***

– ფეხი სტკიოდა. პოდაგრული ართრიტის შეტევა ჰქონდა. ჩამოვიყვანეთ თბილისში, მაგრამ სახლში მაინც არ წასულა. მთელი ომის პერიოდში უმაღლესი საბჭოს შენობაში იმყოფებოდა.

***– ბატონი თემურის მდგომარეობა გასაგებია, მაგრამ სამხედროებსაც პოდაგრული ართრიტის შემოტევა ჰქონდათ?***

– მათ, ალბათ, ბრძანება ჰქონდათ, რომ გამოსულიყვნენ.

***– სოჭის ხელშეკრულების თანახმად, მგონი, კოდორში ჯარის შეყვანა ქართულ მხარეს ეკრძალებოდა. სააკაშვილმა მაინც შეიყვანა, მოწინააღმდეგეც გააღიზიანა და არც გამოუყენებია.***

– ჯარი არ შეუყვანია, შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფები შეიყვანა. როგორც ასეთი, რეგულარული ჯარი მე კოდორში არ მინახავს. კოდორის ხეობა იყო აფხაზეთის ერთ-ერთი პლაცდარმი.

***– და ეს პლაცდარმი ისე ჩაბარდა, ერთი გასროლაც არ მომხდარა.***

– ეს გასაკვირიც იყო, მით უმეტეს ჩვენთვის, ვინც აფხაზეთის ომში მონაწილეობდა.

***– თქვენ პირადად მონაწილეობდით?***

– დიახ. ჩემთვის ძალიან ძნელი იყო კოდორის ულამაზესი ხეობის ასე ჩაბარება. არ ვიცი, ჩაბარება იყო, თუ ასეთი სტრატეგია იყო, რომ ჯარი მთლიანად გამოსულიყო. მით უმეტეს, იქ მოსახლეობის რაღაც ნაწილი დარჩა.

***– მოსახლეობის ნაწილი ომის პერიოდშიც და შემდეგაც არ გამოვიდა? ქალები და ბავშვები დარჩნენ?***

– დიახ, სვანები უშიშარი ხალხია. მოსახლეობის გარკვეული რაოდენობა ადგილზე დარჩა და დღესაც იქ ცხოვრობს.

***– თქვენ ომში მონაწილეობის გარკვეული გამოცდილება გაქვთ, სპეცსამსახურში მუშაობთ.***

– ახლა აღარ ვმუშაობ, პენსიაზე ვარ გასული.

***– რამდენადაც მსმენია, ბიძინა ივანიშვილის გამო გაგათავისუფლეს.***

– დღესაც მეცინება. ასე მითხრეს, გითქვამს, ბიძინა კარგი კაცია, კარგი ადამიანია, მალე მოვა ხელისუფლებაში და ყველაფერი კარგად იქნებაო. როცა ვუთხარი, თუ გაქვთ რამე მტკიცებულება, ჩანაწერი ან სხვა რამ-მეთქი, დაგვემუქრნენ, თუ არ წახვალთ, გაგანადგურებთო. სამი თანამშრომელი იძულების გამო წამოვედით.

***– კოდორის დაცვა შესაძლებელი იყო?***

– კოდორის ხეობა იმ პერიოდში, ფაქტობრივად, დაცული იყო. როგორც ვიცი, იქ სერიოზული შენაერთებიც იმყოფებოდნენ, სპეცსამსახურებიც იყვნენ, ყველაფერი იყო და, თუ ბრძანება იქნებოდა, ალბათ, დაიცავდნენ.

***– ხეობა მანამდე ხომ დაიცვეს ემზარ კვიციანმა და მისმა რაზმმა?***

– რუსებს ჰქონდათ ძალა, კოდორის ხეობა აეღოთ, მაგრამ მთლად ისე ადვილად ვერ აიღებდნენ. ემზარ კვიციანი ომის პერიოდში და შემდეგაც თავის ხეობას იცავდა. მას ძალიან დიდი პატივს ვცემ, როგორც მეომარს, როგორც პიროვნებას. მის დროს იყო შემოტევის ფაქტები, მაგრამ კვიციანმა შეძლო ხეობის დაცვა.

***– ხომ არ იცით, ხეობის დატოვების ბრძანება ვინ გასცა?***

– არ ვიცი, ბრძანება ვინ გასცა, მაგრამ ფაქტია, ჯარმა ხეობა დატოვა, რამაც ჩემზე ძალიან მძიმედ იმოქმედა – კოდორი ერთადერთი პლაცდარმი იყო ჩვენთვის აფხაზეთის ქართულ მიწა-წყალზე. კოდორის დატოვებამ ძალიან იმოქმედა არა მხოლოდ ჩემზე, არამედ აფხაზეთის მთელ მოსახლეობაზე. ასე უბრძოლველად ამ ხეობის მიტოვება ჩვენთვის კიდევ ერთი ტრაგედია იყო.

***– ზოგი ამბობს, კოდორში იმდენი გადმოსასვლელია ყარაჩაი-ჩერქეზეთიდან, რუსებს რომ მოენდომებინათ, აიღებდნენო, მაგრამ ცოტა მაინც ხომ უნდა გაგვეძლო? 12 აგვისტოს უკვე რუსეთთან ხელშეკრულება გაფორმდა საფრანგეთის შუამავლობით. ჩვენ კი 4 დღეც ვერ გავძელით.***

– არ ვიცი, ხეობაში მყოფმა ძალოვნებმა როგორი ბრძანება მიიღეს. ერთადერთი, რაც ჩემი თვალით ვნახე, ის არის, რომ ჯარი გამოდიოდა. ეს რომ ვნახეთ, ძალიან გაგვიკვირდა, მაგრამ...

***– თუ იცით ან გსმენიათ, როგორი ტექნიკა ჰქონდა თუნდაც შინაგან ჯარს? ამბობენ, ძალიან კარგი ტექნიკა და შეიარაღება ჰქონდათო.***

– შეიძლება, ჰქონდათ კიდევაც, მაგრამ მე არ ვიცი.

***– შეიარაღება დატოვეს და გამოვიდნენ.***

– შეიარაღება გამოიტანეს.

***– არავის უთქვამს, რომ შეიარაღება გამოიტანეს. ყველა ამბობს, შეიარაღება იქ დატოვესო.***

– მათ რაც ჰქონდათ, თავიანთი შეიარაღება გამოიტანეს. გზაში გვხვდებოდა ხალხი.

***– როგორც ვიცი, კოდორისკენ მიმავალი გზა გადაკეტილი იყო, იარაღი როგორ გამოიტანეს?***

– შემოვლითი გზებით. ჩვენ რა გზითაც ავედით, იმ გზით ჩამოვედით. გზაში არავითარი დაბრკოლება არ ყოფილა.

***– რუსები იდგნენ ან შეგხვდნენ?***

– არა, რუსები არ შეგვხვედრია. რუსები არ უნდა ყოფილიყვნენ იქ. ჩვენ 9 აგვისტოს გამოვედით.

***– 9-ში ქვემოდან არ ისროდნენ?***

– ჩვენ რომელ გზაზეც ვმოძრაობდით, იმ მხრიდან – არა, უფრო აფხაზეთის მხრიდან, ლათადან და სხვა ადგილებიდან იყო სროლები. რუსების იქ ყოფნაც იყო შესაძლებელი. საერთოდ, ის გზა, რომელიც კოდორის ხეობიდან ჩამოდის, რომელზეც ჩვენ ვმოძრაობდით, არ არის გამორიცხული, რუსული ჯგუფი შემოსულიყო და სასაზღვრო გაეკეთებინა.

***– ამ კვლევაში გამიჩნდა მოსაზრება, რომ ქართულ მხარეს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარკვეულ ტერიტორიებზე კონტროლი რომ არ დაეკარგა, რუსეთი მათ ვერ აღიარებდა. აქეთ კოდორი დავკარგეთ, იქით კი – 150 სოფელი. 150 სოფლის გამოკლებით, ცხინვალის რეგიონი რა არის, რა უნდა ეღიარებინათ.***

– სოხუმის დაცემის შემდეგ აფხაზები და რუსები სულ ცდილობდნენ, კოდორის ხეობაზე კონტროლი დაემყარებინათ. კოდორი მათთვის კისერში ძვალივით იყო გაჩხერილი. როცა კოდორის ხეობა ჩაბარდა, აფხაზებმა იზეიმეს.

***– როცა ხელისუფლებამ იცოდა, აფხაზები ყოველთვის ცდილობდნენ კოდორზე კონტროლის დამყარებას, შეიძლებოდა კვიციანისა და მისნაირი ადამიანების მოშორება კოდორიდან?***

– არ ვიცი, ვის უშლიდა ხელს ემზარ კვიციანი. მაშინ რაღაც არგუმენტები მოჰყავდათ, თითქოს მის მიმართ მოსახლეობაში უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ. მე ბევრს სვანს ვიცნობ, იქ ახლობლები, ნათესავები მყავს და მათგან არასოდეს გამიგია ემზარის მიმართ საყვედური. ხეობაში თვითონ სვანები პატივს სცემდნენ. კოდორის დაკარგვაში „მონადირის“ გაუქმებამაც ითამაშა დიდი როლი. ბოლო პერიოდში ჩვენთან მოდიოდნენ სვანები და იხვეწებოდნენ, იარაღი მოგვეცით, ჩვენც დავიცავთ ხეობასო, მაგრამ, სამწუხაროდ, იარაღს ვერავინ მისცემდა.

***– როდის მოდიოდნენ იარაღისთვის სვანები?***

– 8-9 აგვისტოს. იყვნენ იქ ადგილობრივი ვაჟკაცები, რომლებსაც უნდოდათ ბრძოლა კოდორისთვის. ადგილობრივმა რომ იცის თავისი ტერიტორია, ისე სხვას როგორ ეცოდინება, მაგრამ ეს რესურსი ხელისუფლებამ რატომღაც არ გამოიყენა, რაც ძალიან გასაკვირიც იყო.

კოდორის ხეობა ისეთი ადგილია, რომელსაც მტერი ადგილად ვერ აიღებდა. კარგად გაწვრთნილ, პროფესიონალურ ჯარს წინააღმდეგობა რომ გაეწია, მეომრებსა და ადგილობრივებსაც რომ ებრძოლათ, კოდორის ხეობას ისე ადვილად ვერ აიღებდნენ. ადვილად ასაღები ადგილი არ იყო.

***– ყარაჩაი-ჩერქეზეთიდან 8 თუ 9 გადმოსასვლელიაო, მაგრამ იმ გადმოსასვლელებზე გადმოსვლაც ისე ადვილი არ იქნებოდა.***

– თავისთავად. საცალფეხო გზებია. იმ საცალფეხო გზებზე თითო-ოროლა კაცი რომ ჩამჯდარიყო, მტერი ადვილად ვერ შემოაღწევდა.

# რისთვის დასჭირდა რუსეთს აფხაზეთის რკინიგზის თემის წამოწევა?

მარიამ მჭედლიშვილი

დროდადრო რუსეთი აქტიურებს საქართველო-რუსეთის რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის საკითხს. მისი დიდი ნაწილი აფხაზეთში რუსეთმა გარკვეული ხნის წინ გაარემონტა. რკინიგზის ამოქმედების თემა ბოლო დროს მივიწყებული იყო. დაინტერესებას რკინიგზის ამუშავებით უფრო მეტად სომხეთი და აფხაზეთში მცხოვრები სომხური მოსახლეობა იჩენდნენ.

ორი დღის წინ ეს საკითხი აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის ლიდერმა რაულ ხაჯიმბამ წამოჭრა. საქმეოა, მას ამ თემაზე რიხიანად თავისი ინიციატივით ესაუბრა. რუსი ჟურნალისტის შეკითხვას რკინიგზის თაობაზე ხაჯიმბა ასე პასუხობს:

– მატარებლები უეჭველად ივლიან. უნდა ეს საქართველოს თუ არა, რკინიგზამ მუშაობა უნდა დაიწყოს. საქმის ახლანდელი ვითარება მოითხოვს, რომ ჩვენ აქტიურად ვითანამშრომლოთ ეკონომიკის სფეროში კავკასიის მთელ რეგიონთან. საქართველო ეკონომიკის საკითხებს პოლიტიკად აქცევს. რკინიგზის გამოყენება იქნებოდა დამატებითი მხარდაჭერა რესპუბლიკისათვის, მაგრამ თბილისს არ სურს ეკონომიკურ სფეროში აფხაზეთის დამოუკიდებლობის გაძლიერება.

დე ფაქტო პრეზიდენტი აფხაზეთის „აღიარებასაც“ ეხება და აღნიშნავს, რომ სოხუმი გააგრძელებს საქმიანობას აფხაზეთის საერთაშორისო პოზიციების გასაძლიერებლად და საერთაშორისო აღიარების გაფართოების მიზნით.

ბოლო სახელმწიფო, რომელმაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღო, სირიაა. ხაჯიმბას „ოფიციალური“ ვიზიტი სირიის არაბულ რესპუბლიკაში ახლა მზადდება.

ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის მსგავსად, სირიასთან ეკონომიკური, სავაჭრო და სხვა სახის თანამშრომლობის შესახებ დოკუმენტებს დამასკოსთან აფხაზებიც გააფორმებენ. სოხუმიც, ცხინვალის მსგავსად, ალბათ, სირიაში საექსპორტოდ საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრესა და ნედლეულს აირჩევს.

ხაჯიმბა ადასტურებს, რომ აფხაზეთს აქვს სურვილი, გაწევრიანდეს ისეთ რეგიონულ ორგანიზაციებში, როგორიცაა ევრაზიული ეკონომიკური კავშირი, დსთ და კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაცია ოდკბ.

– გეგმები გვაქვს. უფრო მეტიც, ისინი ნახსენებია რუსეთთან ხელმოწერილ ხელშეკრულებაში მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ, მაგრამ რეალიებიდან უნდა გამოვიდეთ. ეს რეალიები იმაში მდგომარეობს, რომ ევრაზიული სივრცის მონაწილეთა უმრავლესობას აფხაზეთი ჯერ არ უცვნია, – განმარტავს ხაჯიმბა.

ხაჯიმბა, როგორც წესი, აფხაზეთში არსებულ პრობლემებზე საუბარს თავს არიდებს.

აფხაზეთში არსებულ ღრმა კორუფციას ამასწინათ სასულიერო პირებიც შეეხნენ. დოროთე დბარი მიიჩნევს, რომ გამდიდრების წყურვილით შეპყრობილმა აფხაზმა ჩინოსნებმა თავიანთი კეთილდღეობა დამოუკიდებლობის იდეაზე გაცვალეს.



დღეს ამაზე ალაპარაკდა აფხაზეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ვიაჩესლავ ჩირიკბაც.

მისი თქმით, აფხაზეთში კორუფციამ სერიოზულ მასშტაბებს მიაღწია, რაც ანგრევს „სახელმწიფოს“. ხაზინის დაცარიელების გარდა, კორუფცია იწვევს აპათიასა და ცინიზმს მოსახლეობაში. ადამიანებს ეკარგებათ ნდობა პოლიტიკოსების, პირველ რიგში კი – ხელისუფლების სტრუქტურებში მყოფი პირების მიმართ.

ამას ემატება მართვის უნარის უქონლობა და არაკომპეტენტურობა ხელისუფლებაში, პოლიტიკური სისტემების არასტაბილურობა, ასევე ბიზნესის მხრიდან გადასახადების გადაუხდელობა. ყველაფერი ეს დამღუპველია აფხაზეთისთვის.

# „სასურველია კიდევ ერთი მსხვილი ბანკის ბაზარზე შემოსვლა“

ჭარბვალიანობის პრობლემებზე, საბანკო მომსახურების ბაზრის მაღალ კონცენტრაციაზე, ზოგადად საბანკო კონკურენციაზე, ბიზნესდაკრედიტების პრობლემებსა და ეკონომიკის განვითარების ტენდენციებზე გთავაზობთ „ბანკები და ფინანსების“ ვრცელ ინტერვიუს წამყვან საბანკო ექსპერტთან, პროფესორ გიორგი ცუცქირიძესთან.

***– ბიძინა ივანიშვილმა ქვეყნის ორ წამყვან ბანკს, ფაქტიურად, ბაზრის მონოპოლიზებაში დაჭარბვალიანობის დადგომაში ღიად დასდო ბრალი, რა პრობლემებს ხედავთ ბაზარზე საბანკომონოპოლიის თვალსაზრისით, უმსხვილესი ორი კომერციული ბანკის („თი ბი სი“ ბანკი და „საქართველოს ბანკი“) წილი წმინდა აქტივებში 73 % -ზე მეტია, ხოლო 2015 წლიდან მოყოლებული, მათი ხვედრითი წილი მთლიან აქტივებში 54% დან 73%-მდე ანუ მთელი 20%-ით არის გაზრდილი. ამასთან, წმინდა მოგების ასევე დიდი ნაწილი მათზე მოდის და სისტემის მთლიანი მოგების 2/3 მეტსაც კი შეადგენს.***

– ქვეყნის წამყვანი ბანკების აქტივების ზრდა განაპირობა, მაღალმა მოგებამ და მეორე მხრივ, ბაზრიდან გასული ბანკების მიერთებამ. აქ პირველ რიგში „თი ბი სი ბანკის“ მიერ „ბანკი რესპუბლიკას“ შეძენა უნდა აღინიშნოს, გარდა ამ ოპერაციისა, ბანკმა კიდევ ერთი ბანკის – „კონსტანტა ბანკის“ აქცივიზაცია განახორციელა და „პროგრეს ბანკის“ საკრედიტო პორტფელი შეიძინა. „საქართველოს ბანკმა“ აღნიშნულ პერიოდში „პრივატ ბანკი“ მიიერთა, ხოლო „პროკრედიტ ბანკისაგან“ მიკრო და მცირე სესხების პორტფელი შეიძინა.

ბაზრის კონცენტრაციის შეფასება ხდება სისტემური ბანკების ხვედრითი წილით მთლიან აქტივებში. დღეს ეს ბანკები ქმნიან ძირითად ტენდენციას საბანკო მომსახურების ბაზარზე. თუ ამ ორ ბანკს კიდევ ერთ სისტემურ ანუ ჯამური საბანკო აქტივების 5%-ზე მეტის მფლობელ „ლიბერთი ბანკსაც“ დავუმატებთ, მათი ხვედრითი წილი მთლიან აქტივებში უკვე 80 %-ს უახლოვდება. სისტემური ბანკების ჯამური საკრედიტო პორტფელი სისტემის 77%-ს შეადგენს, ხოლო წმინდა მოგება კიდევ უფრო მეტს – 86%, რაც ბაზრის მაღალ კონცენტრაციაზე ნამდვილად მიუთითებს. კიდევ 4 ბანკი – „ვითიბი ბანკი“, „პროკრედიტ ბანკი“, „ბაზის ბანკი“ და „ქართუ“ საერთო აქტივებში 3-4.5%-ს ფარგლებშია, საქართველოს დანარჩენი 8 ბანკის ხვედრითი წილი მთლიან აქტივებში საშუალოდ 1%-ზე ნაკლებია.

ბაზრის კონცენტრაციის ზრდა დიდწილად გამოწვეულია სიდიდით პირველი ორი ბანკის აქტივების მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად. მაგალითისათვის „საქართველოს ბანკის“ აქტივები ბოლო 3 წელიწადში გაიზარდა 9 მლრდ ლარიდან 12,6 მლრდ ლარამდე, ხოლო „თი ბი სი ბანკის“ აქტივების ზრდა კიდევ უფრო მაღალი იყო, გაიზარდა რა იმავე პერიოდში 6,9 მლრდ ლარიდან 12,9 მლრდ ლარამდე ანუ პრაქტიკულად 2 ჯერ. აქვე ობიექტურობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბანკებმა შექმნეს მიმზიდველი საინვესტიციო პლატფორმა, თუნდაც გამჭვირვალობის ზრდის და თავიანთი აქციების ლონდონის ბირჟაზე განთავსების გზით. სხვა პრობლემურ საკითხებს, რაც ჩვენს საზოგადოებაში არსებობს და ბანკების არაპროფილური აქტივების ფლობას უკავშირდება, რაც ბიზნესდაკრედიტების შემცირების ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება განიხილებოდეს ამჯერად არ შევეხები, თუმცა მომავალში არც ამ თემაზე საუბარს გავურბივარ.

საბანკო მომსახურების ბაზრის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ბაზრის მაღალი კონცენტრაცია, ცალსახად უარყოფითად არ უნდა შეფასდეს. წამყვანი სისტემფორმირებადი ბანკები თავისებურ ბიზნესბარომეტრსაც წარმოადგენენ როგორც სექტორში ინვესტორების მოზიდვის, ასევე ბაზრის სხვა მონაწილეებისთვისაც თამაშის წესების შეთავაზებით, ინოვაციური საბანკო პროდუქტების დანერგვის თუ საბანკო პროდუქტებზე ფასწარმოქმნის თვალსაზრისით. თუმცა, მეორე მხრივ, ბაზრის მაღალი კონცენტრაცია საწარმოს მასშტაბის ეფექტიდან გამომდინარე, გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს წამყვან ბანკებს კონკურენტებთან შედარებით და პირველ რიგში კლიენტებთან ურთიერთობისას, რაც შემდეგ გამოხატულია პოზიტიურ კორელაციაში კონცენტრაციასა და მომგებიანობას შორის. დიდწილად ამის შედეგია, რომ სისტემური ბანკების წმინდა მოგების მაჩვენებელი ბოლო წლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდება და სისტემის მთლიანი მოგების 86 %-ს შეადგენს, ხოლო წამყვანი ორი ბანკის მიხედვით 80-ს უახლოვდება და ბოლო სამ წელიწადში 293 მლნ ლარიდან 636 მლნ ლარამდეა გაზრდილი. შესაბამისად, საქართველოს საბანკო სექტორის კაპიტალზე მოგების უკუგების მაჩვენებელი (ROE) მაჩვენებელი, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, პოზიტიური ზრდის დინამიკას აჩვენებს და 2017 წლის ბოლოს 20% -ზე მეტი შეადგინა და ეს ტენდენცია დღესაც შენარჩუნებულია.

ამასთან, ბაზრის მაღალი კონცენტრაცია, ასევე ატარებს მაღალ სისტემურ რისკებსაც და ეს განსაკუთრებით მგრძნობიარეა გლობალური



შოკების დროს, მით უმეტეს, განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის, რომლებიც საერთაშორისო ბაზრებიდან ფინანსურ რესურსებზე არიან დიდწილად დამოკიდებული. განსაკუთრებით კრიზისებისას ბაზრის მაღალი კონცენტრაციის პირობებში, პრობლემები რომელიმე სისტემფორმირებად საკრედიტო დაწესებულებაში, ტოვებს არასაკმარის ბუფერს რისკების სამართავად, მათ შორის კლიენტურის სხვა ბანკებში გადანაწილების და საბანკო ოპერაციების წარმოების თვალსაზრისით, ამ ბანკების მცირე კაპიტალის გამო.

აქვე მსურს აღვნიშნო, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პერსპექტივებიდან გამომდინარე, ბაზრის მაღალი კონცენტრაცია სასურველი არ არის, არც ფინანსური ბაზრის განვითარების და არც ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაციის და სექტორალური ზრდის თვალსაზრისით, რადგან გარკვეულწილად ზღუდავს კონკურენტულ ბიზნესსივრცეს ზოგადად.

***– მაგრამ, ამავდროულად, ბაზრის მაღალი კონცენტრაცია დღეს არის ფაქტი და მისი შემცირებაც წმინდა საბაზრო ინსტრუმენტებით უნდა განხორციელდეს.***

– ბაზრის მაღალი კონცენტრაციის შემცირება და კონკურენციის სტიმულირება შესაძლებელია როგორც ახალი მოთამაშეების ბაზარზე შემოყვანით, პირველ რიგში წამყვანი ევროპული ან აზიური ბრენდების, ასევე მეორე ეშელონის და შედარებით მცირე ზომის ბანკების აქტივების ზრდით, მათი ნაწილის გაერთიანების ან ახალი ინვესტორების მოზიდვის შედეგად, რაც ასევე ინვესტიციების გაზრდილ ნაკადებს უკავშირდება.

მიმაჩნია, რომ 2017 წლის ბოლოდან ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე, გადასვლა გაზრდის საბანკო დაწესებულებების ტრანსფარენტულობის ხარისხს, ასევე გახდება კარგი სიგნალი უცხოელი ინვესტორებისთვის განახორციელონ დამატებითი ინვესტიციები საბანკო სექტორში. ბაზრის კონცენტრაციის არსებული მაჩვენებლის შემცირებაც საბანკო და საფინანსო სისტემის განვითარების სტრატეგიულ ამოცანად, უნდა განიხილებოდეს.

ამ თვალსაზრისით სასურველია კიდევ ერთი მსხვილი ბანკის ბაზარზე შემოსვლა, თუმცა სისტემფორმირებადი ბანკების რიცხვში საშუალო სიდიდის სულ მცირე 5-6 ბანკიც რომ იყოს წარმოდგენილი, ანუ მეორე ეშელონის ბანკებმა რომ მოახდინონ გამსხვილება ან ახალი ინვესტიციების მოძიება, კონცენტრაციის მაჩვენებელიც დაბალანსდება და კონკურენციაც გაიზრდება, რაც აისახება დაკრედიტების ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვან ზრდაში როგორც საპროცენტო განაკვეთებისა და საპროცენტო სპრედის კიდევ უფრო შემცირების კუთხით, ასევე, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ბიზნესდაკრედიტების ზრდის თვალსაზრისითაც.

მიმაჩნია, რომ ჭარბვალიანობაზე არანაკლები გამოწვევა დღეს არის სწორედ ბოლო წლებში ბიზნესდაკრედიტების ტემპების შემცირების გარდატეხა. თუნდაც 2012 წელთან შედარებით, ბიზნესდაკრედიტების ხვედრითი წილი საკრედიტო პორტფელში შემცირებულია 56% დან 44%-მდე, საცალო საბანკო პროდუქტების მზარდი ექსპანსიიდან გამომდინარე.

***– სწორედ ეს ფაქტორი მიმაჩნია ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად საბანკო სექტორისათვის.***

– საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ფინანსებზე წვდომის შესახებ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ საქართველო იმ ქვეყნებს შორის არის, სადაც საკმაოდ მაღალია მსესხებელთა რაოდენობა. აღმოჩნდა, რომ 2015 წლის მონაცემების მიხედვით, 1000 ზრდასრულ მოსახლეზე უკვე 680 მსესხებელი მოდის, რომელიც მსოფლიოში სიდიდით მეორე მაჩვენებელია თურქეთის შემდეგ (2015 წლის კვლევა ფინანსებზე წვდომის შესახებ). ძალზე საინტერესოა თუ როგორია რეალურად ჭარბვალიანობა და მისი შეფასების ინდიკატორები.

***– საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას გააჩნია სასესხო ვალდებულება არა მხოლოდ კომერციული ბანკების, არამედ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ლომბარდების და სხვა კერძო მსესხებლების მიმართ. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები, მათ შორის თქვენს მიერ ნახსენები კვლევაც.***

– აქვე მსურს განვმარტო, რომ ტერმინოლოგიურად „ჭარბი დავალიანება“ არის ფინან-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# რამდენიმე მოქალაქეს ფოთი-გრიგოლეთი-ქობულეთის შემოსავლელი გზის მშენებლობის გამო ქონება იძულების წესით ჩამოერთმევა

ფოთი-გრიგოლეთი-ქობულეთის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობის გამო საავტომობილო გზების დეპარტამენტს რამდენიმე მოქალაქის უძრავი ქონების ექსპროპრიაციის (საკუთრების ძალადობრივი ჩამორთმევა სახელმწიფოს მიერ ანაზღაურებით ან მის გარეშე) უფლება მიენიჭა.

პროექტი გულისხმობს ახალი ოთხზოლიანი ჩქაროსნული მაგისტრალის მოწყობას, შეძლებისდაგვარად, დასახელებული პუნქტების მაქსიმალური გვერდის ავლით. როგორც ეკონომიკის მინისტრის ბრძანებაშია აღნიშნული განსახლების სამოქმედო გეგმა ეხება გრიგოლეთი-ქობულეთის შემოსავლელი საავტომობილო გზის 14.4 კმ სიგრძის მონაკვეთს, რომელიც მდებარეობს ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტში.



საავტომობილო გზის გასწვრივ დაგეგმილია სატრანსპორტო კვანძების, მდინარეებზე (სუფსა, წყალწმინდა, სეფა, შენაკადი) გადასასვლელების, გზაგამტარებისა და წყალგამტარი მილების მოწყობა. პროექტის ზემოქმედების

შედეგად ათვისებული იქნა 1.247.537 მ2 მიწის ნაკვეთი, რაც 891 მიწის ნაკვეთს წარმოადგენს.

ბრძანების თანახმად, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა ასევე გოგიტა ასანიძის, დარეჯან ასანიძის, იოსებ ასანიძის, მაყვალა ასანიძის და ხათუნა ბოლქვაძის თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, თუმცა, მათთან საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვაზე შეთანხმება ვერ მოხერხდა. შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელი სუფსაში ამ პირების კუთვნილი 7.700 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა/ნაგებობები ექსპროპრიაციას დაექვემდებარება. კერძოდ, ბრძანების თანახმად, საექსპროპრიაციო ფართია 797 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებულ შენობა/ნაგებობა – ღობე.

გრიგოლეთი – ქობულეთის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობის გამო ექსპროპრიაციას დაექვემდებარება ასევე – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შრომა 2-ში ნინო რუსიძისა და სოფელ ნატანებში კობა ნიკოლაძის კუთვნილი მიწის ნაკვეთები.

ბპნ

# რომან გოცირიძე: „ტურიზმი პიკზეა, ექსპორტი იზრდება, ლარი მაინც უფასურდება“

– როდესაც ერთსა და იმავე დროს, წლების განმავლობაში, მეორდება ერთი და იგივე მოვლენა და ამის თავიდან აცილება ვერ ხერხდება, ამაში პირდაპირ არის დამნაშავე საქართველოს მთავრობა და ეროვნული ბანკი.

ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის წევრი რომან გოცირიძე სოციალურ ქსელში წერს.

– ლარი რომ გაუფასურდებოდა, ჯერ კიდევ ერთი თვის წინ გავაფრთხილე ხელისუფლება. არ ისმინეს, როგორც ყოველთვის. როდესაც ტურიზმი პიკზეა, ექსპორტი იზრდება, უცხოეთიდან ჩვენი ნატანჯი ემიგრანტები უფრო მეტ ფულს აგზავნიან, მაგრამ ლარი მაინც უფასურდება, ეს ხელისუფლების შეცდომებისა და არაკომპეტენტურობის ბრალია.



კვლავ ხდება მათი შეცდომების სხვებზე გადაბრალება – ამოიღეს ნაფტალინიდან უკვე მივიწყებული ე. წ. საგარეო ფაქტორების ცნება. სისულელეა იმის თქმა, რომ ლარი თურქული ლირის დევალვაციამ გააუფასურა.

თეორიულად, სავაჭრო პარტნიორის ვალუტის გაუფასურება იწვევს ამ ქვეყანაში საქონლის გაიაფებას, შესაბამისად ამ ქვეყნიდან იმპორტის ზრდას და ჩვენი ქვეყნიდან ვალუტის გადინებას. ასეც რომ იყოს, იმპორტის მატებას სჭირდება თვეები (დიდი ალბათობით, ეს არ მოხდება) და თურქული ვალუტის გაუფასურებას არავითარი მყისიერი კავშირი არა აქვს ლარის კურსის ახლანდელ ვარდნასთან. თურქული ლირა მთელი წელი უფასურდებოდა, მაშინ როცა მთელი ამ დროის განმავლობაში ლარი პირიქით, მყარდებოდა და ეროვნული ბანკი რამდენიმეჯერ ჩაერია ბოლო თვეებში (შეისყიდა დოლარი), რომ ხელი შეეშალა ლარის კიდევ უფრო გამყარებისათვის.

ის პოლიტიკა, რომელსაც მთავრობა და ეროვნული ბანკი ატარებდა (ძირითადად, მთავრობის ზეწოლით), განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, არის ლარის ტრადიციული გაუფასურების მიზეზი და ეს პროცესი კვლავ გაგრძელდება.

ამის თავიდან აცილება შეიძლება. ჯერ კიდევ არ არის გვიან.

რა შეცდომები იქნა დაშვებული და რა უნდა გაკეთდეს, ამის შესახებ – მოგვიანებით. ისედაც გრძლად გამომივიდა, რაც არ ჯდება პოსტის წესებში, – წერს რომან გოცირიძე.

# 16 წელიწადში საქართველოში სოციალურ მუშაკთა რაოდენობა 31-ჯერ გაიზარდა




საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის (GASW) კვლევის მიხედვით, ქვეყანაში სოციალურ მუშაკთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. კერძოდ, თუ 2002 წელს საქართველოში მხოლოდ 30 სოციალური მუშაკი იყო, 2018 წლის მონაცემებით, მათი რაოდენობა 940-მდე გაიზარდა.

ასოციაციის ინფორმაციით, სოციალური მუშაკები ძირითადად საქმდებიან სოციალური მომსახურების სააგენტოში, პენიტენციარულ დაწესებულებებში, პრობაციის ეროვნულ სააგენტოში, იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრში, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდში, მანდატურის სამსახურში, არასამთავრობო ორგანიზაციებში და ა.შ.

როგორც სოციალურ მუშაკთა ასოციაციის სოციალური მუშაკი სოფო ბაჩილავა „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აცხადებს, პროფესიისადმი ინტერესის ზრდის მიზეზი ბევრია, თუმცა ის რამდენიმე მათგანზე ამახვილებს ყურადღებას. მისი თქმით, ქვეყანაში სოციალური პრობლემების გაზრდამ მოთხოვნადი გახადა ისეთი კადრები, რომელთაც აღნიშნული პრობლემების მოგვარების სპეციფიკური ცოდნა ექნებოდათ. შესაბამისად, გაიზარდა დასაქმების არეალიც და საჭირო გახდა უფრო მეტი კადრის არსებობა.

– სოციალური მუშაობა არის მრავალფეროვანი და საინტერესო პროფესია, რომელიც ინტერესდება საზოგადოებაში არსებული სოციალური პრობლემებით და ცდილობს, მხარი დაუჭიროს ინდივიდებს, ჯგუფებსა და მთლიანად საზოგადოებას, რათა დაძლიონ მათ წინაშე არსებული გამოწვევები. სოციალური მუშაობა სასიკეთო ცვლილებების მომხდენი პროფესიაა. კომპეტენტურ და კარგად მომზადებულ სოციალურ მუშაკს შეუძლია მნიშვნელოვანი ცვლილებების ხელშეწყობა ადამიანების უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ქვეყანაში. ხშირად, სწორედ ეს შესაძლებლობა განაპირობებს ადამიანთა სურვილს, რომ გახდნენ სოციალური მუშაკები. ამასთან, სოციალური პრობლემების გაზრდამ, მოთხოვნა გაზარდა ისეთ პროფესიონალებზე, რომელთაც ექნებოდათ სპეციფიკური ცოდნა და ღირებულებები, აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად. შესაბამისად, გაიზარდა დასაქმების არეალიც და საჭირო გახდა უფრო მეტი კადრის არსებობა, – აცხადებს სოფო ბაჩილავა.

**ბპნ**

# ქვეყნები, რომლის მოქალაქეებსაც საქართველოში უვიზოდ 1 წლით ცხოვრება შეუძლიათ

საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და საქართველოს სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე უცხოელებს შეუძლიათ, უვიზოდ შემოვიდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. ამის შესახებ ინფორმაცია მიგრაციის სამთავრობო კომისიის 2017 წლის „ლეგალური იმიგრაციის გზამკვლევშია“ მოცემული.

დოკუმენტის თანახმად, საქართველოში უვიზოდ შემოსვლისა და სრული 1 წლის ვადით უვიზოდ ყოფნის უფლება აქვთ 94 ქვეყნის მოქალაქეებს.

**ეს ქვეყნებია:**



ავსტრალია, ავსტრია, აზერბაიჯანი, ალბანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, ანდორა, ანტიგუა და ბარბუდა, არაბთა გაერთიანებული საამიროები, არგენტინა, არუბისა და ნიდერლანდის ანტილის კუნძულები, ახალი ზელანდია, ბარბადოსი, ბაჰრეინი, ბაჰამის თანამეგობრობა, ბელარუსი, ბელგია, ბელიზი, ბერმუდის კუნძულები, კაიმანის კუნძულები, ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულები,

ფოლკლენდის კუნძულები, ტერკსის და კაიკოსის კუნძულები, გიბრალტარი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბოტსვანა, ბრაზილია, ბრუნეი-დარუსალამი, ბულგარეთი, გერმანია, დანია, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, დომინიკის რესპუბლიკა, ელ-სალვადორი, ეკვადორი, ესპანეთი, ესტონეთი, თურქეთი, თურქმენეთი, იაპონია, ირლანდია, ისლანდია, ისრაელი, იტალია, კანადა, კატარი, კვიპროსი და კოლუმბია.

**გარდა ამისა, მსგავსი ქვეყნების ჩამონათვალშია ასევე:**

კორეა, კოსტა-რიკა, ლატვია, ლიტვა, ლიბანი, ლიხტენშტაინი, ლუქსემბურგი, მავრიკი, მალაიზია, მალტა, მექსიკა, მონაკო, მოლდოვა, მონტენეგრო, ნიდერლანდები, ნორვეგია, ომანი, პანამა, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, საბერძნეთი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, სან-მარინო, საუდის არაბეთი, საფრანგეთი, საფრანგეთის პოლინეზია და ახალი კალედონია, სეიშელის კუნძულები, სენტ-ვინსენტი და გრენადინები, სერბეთი, სინგაპური, სლოვაკეთი, სლოვენია, სომხეთი, ტაილანდი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, უკრაინა, უნგრეთი, ფარერის კუნძულები და გრენლანდია, ფინეთი, კუვეიტი, ყირგიზეთი, ყაზახეთი, შვედეთი, შვეიცარია, ჩეხეთი, წმინდა საყდარი, ხორვატია, ჯერზი, გერნზი, კუნძული მენი, ჰონდურასი და იორდანიის ჰაშიმიტური სამეფო.

ამასთან, როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებს საქართველოში შემოსვლა შეუძლიათ სამგზავრო დოკუმენტის და ასევე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ გაცემული პირადობის მოწმობის საფუძველზე, რომელშიც აღნიშნულია პირის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და დატანილია ფოტოსურათი.

ასევე დოკუმენტის თანახმად, საქართველოში უვიზოდ შემოსვლისა და სრული 1 წლის ვადით უვიზოდ ყოფნის უფლება აქვთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან მისი სპეციალიზებული სააგენტოების მიერ გაცემული სამგზავრო დოკუმენტის – „ლესე-პასეს“ (Laissez-passer) მფლობელ უცხოელებს.

**ბპნ**

# დედამიწაზე იმდენი $CO_2$-ია, რომ მხოლოდ ხეების დარგვა საკმარისი არ არის

ადამიანების დამსახურებით, ატმოსფეროში ყოველწლიურად 30-40 მილიარდი ტონა ნახშირორჟანგი გამოიფრქვევა. ამ ტემპის შენარჩუნების შემთხვევაში უფრო და უფრო ცხელი პლანეტა გახდება, რაც შესაბამისად აისახება ჩვენს ცხოვრებაზე.

რა არის გამოსავალი? მეცნიერების გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ ნახშირორჟანგის ატმოსფეროს გარეთ გასატანად რაიმე გზა უნდა მოინახოს. მეორე იდეა კი ხეების დარგვაა – ხეები ბევრ ნახშირორჟანგს მოიხმარენ და, პარალელურად, ატმოსფეროში ჟანგბადს უშვებენ.

თუმცა, უკანასკნელი კვლევით, რომელსაც Business Insider აქვეყნებს, ატმოსფეროში ნახშირორჟანგის მოცულობის იმ დონეზე შესამცირებლად, რასაც პარიზის შეთანხმება მოითხოვს, მხოლოდ ხეების დარგვა საკმარისი არ არის.

Insider წერს, რომ ატმოსფეროში გამოყოფილი ნახშირორჟანგის 10%-ის შესაკავებლად ამერიკის კონტინენტის მთლიანად ხეებით დაფარვაა საკმარისი.

საინტერესო ფაქტია ის, რომ გასულ წელს აშშ პარიზის კლიმატის შეთანხმებაზე კონსენსუსს არ შეუერთდა: კანადის, საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის, იაპონიის, დიდი ბრიტანეთის მთავრობების და სახელმწიფოთა მეთაურები, ასევე ევროსაბჭოს და ევროკომისიის პრეზიდენტები ადასტურებენ თავიანთ მტკიცე გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ მალე პარიზის შეთანხმების რეალიზებას მოახდენენ, – ნათქვამი იყო დეკლარაციაში, რომელსაც აშშ არ შეუერთდა.

**კომერსანტი**

# „სასურველია კიდევ ერთი მსხვილი ბანკის ბაზარზე შემოსვლა“

**დასაწყისი მე-5 გვერდზე**

სურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვის უუნარობა გრძელვადიან პერიოდში და არ შეეხება თუნდაც სესხის ერთჯერად გადაუხდელობას, მაგრამ როდესაც განკარგვადი შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი სესხების მომსახურებაზე მიდის, ჩვენ რეალურად საქმე გვაქვს ვალაუვალობასთან. სწორედ ვალაუვალობა სერიოზული პრობლემა შეიძლება გახდეს ეკონომიკის ვარდნის ან შენელებისას ან თუნდაც გარე შოკებისას, ვალუტის მკვეთრი გაუფასურებით, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც დიდია სესხების დოლარიზაცია.

„ჭარბვალიანობის“ როგორც გრძელვადიან პერიოდში ფინანსური ვალდებულებების ვერმომსახურების სურათს იძლევა როგორც პრობლემური სესხების საკრედიტო პორტფელში ხვედრითი წილის ცვლილების დინამიკა, ასევე ჯარიმებისა და საურავების ზრდის მაჩვენებლები, ბანკების მიერ დასაკუთრებული ქონების ზრდის ტენდენციები.

საქართველოს საბანკო სექტორში უმოქმედო სესხების ხვედრითი წილი მთლიან სესხებში ბოლო ორი წელია არათუ ზრდის, არამედ, პირიქით, კლების ტენდენციით ხასიათდება და 2016 წლის ბოლოსთან შედარებით (3.4%), 2018 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით 2.4%-მდეა შემცირებული. მთლიან სესხებში უმოქმედო სესხების თანაფარდობის მიხედვით, ჩვენ გვაქვს ერთ-ერთი კარგი მაჩვენებელი როგორც რეგიონის ქვეყნებთან შედარებით, ასევე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დონეზეც კი. სომხეთში ანალოგიური მაჩვენებელი 2017 წლის მეორე კვარტლის მიხედვით იყო 16.3%, თურქეთში – 3.0%, მოლდოვაში – 17%, რუსეთში – 9.8%, ჩეხეთსა და პოლონეთში – 4.0%, ლატვიაში – 3.5%, ლიეტუვაში – 3.3%; აქედან გამომდინარე, უმოქმედო სესხების ხვედრითი წილის შემცირება მთლიან სესხებში და მისი რეგიონულ დონეზე ერთ-ერთი დაბალი მაჩვენებელი ჭარბვალიანობის კრიზისზე ნამდვილად არ მიუთითებს.

ახლა ვნახოთ, თუ როგორია ჯარიმებისა და საურავების ზრდის დინამიკა. მართალია, 2012 წელთან შედარებით 37 მლნ ლარიდან 77 მლნ ლარამდე ანუ ორჯერ არის გაზრდილი შემოსავლები ჯარიმებიდან და საურავებიდან, მაგრამ პროცენტულად იგივეა მთლიან არასაპროცენტო შემოსავლებში და 9%-ს შეადგენს, ამ თანაფარდობის მიხედვით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2013-2014 წლებში გვქონდა და, შესაბამისად, 2013 წელთან შედარებით არა თუ გაზრდილი, არამედ 15%-დან 9%-მდეა შემცირებული. თუმცა, მოცულობითი ზრდის გაორმაგებული დინამიკა გაზრდილ რისკებზე გარკვეულწილად მაინც მიუთითებს.

2015 წელთან შედარებით, ჩამოწერილი სესხების მოცულობა გაზრდილია 229 მლნ ლარიდან 374 მლნ ლარამდე ანუ 63%-ით, ხოლო დასაკუთრებული ქონების მოცულობა 142 მლნ ლარიდან 209 მლნ ლარამდე ანუ 67 მლნ ლარით (47%-ით) არის გაზრდილი. რეალურად ბანკების მიერ დასაკუთრებული უძრავ-მოძრავი ქონების მოცულობა ატარებს დაგროვებით ანუ კუმულატიურ ეფექტს, საშუალოდ წლიურად 22 მლნ ლარით არის გაზრდილი. თუმცა, აქ ასევე მნიშვნელოვანია თუ როგორია პროცენტული თანაფარდობა თავად საბანკო აქტივებთან მიმართებაში. 2015 წელს დასაკუთრებული ქონების თანაფარდობა აქტივებთან მიმართებით თუ იყო 0.56%, ხოლო 2017 წლის ბოლოსათვის – 0.60%, ანუ ზრდა უმნიშვნელოა და პროპორცია პრაქტიკულად არ შეცვლილა.

წარმოდგენილი ანალიზი ცხადყოფს, რომ ჭარბვალიანობის კრიზისი დღეს ნამდვილად არ შეიმჩნევა, მაგრამ, ზოგადად, ჭარბვალიანობის რისკი, თუნდაც აქ წარმოდგენილი გაზრდილი ნეგატიური მაჩვენებლების გამო, ბუნებრივია, არსებობს.

***– თქვენ მიერ წარმოდგენილი ანალიზი არ იძლევა ჭარბვალიანობის ღია სურათს, თუმცა მოვალეთა რეესტრში ჩანაწერების ზრდა, ასევე, საქართველოში ქონების დაკარგვის კანდიდატთა რიცხვის ზრდაც, ჭარბვალიანობის გაზრდილ რისკზე მიუთითებს. წლის დასაწყისიდან მხოლოდ ბოლო 4 თვის განმავლობაში გადახდისუუნარო მოსახლეობის რაოდენობამ 15,6 ათასით მოიმატა. თუ 2018 წლის დასაწყისში აღსრულების ეროვნული ბიუროს, მოვალეთა რეესტრში 239 831 ჩანაწერი იყო, ახლა ეს რიცხვი 255 494-ს შეადგენს?***

– ჭაბვალიანობის რისკების ზრდის ან შემცირების ქცევის შესაფასებლად გაცილებით საინტერესო სურათს გვაძლევს დამატებით ისეთი მაკროეკონომიკური ინდიკატორები, როგორიც არის შინამეურნეობების ვალის მშპ-სთან თანაფარდობა და შინამეურნეობების დავალიანება განკარგვად შემოსავლებთან მიმართებით.

პირველ შემთხვევაში მისი საშუალო მაჩვენებელი ევროზონის ქვეყნებში არის 58%, ხოლო მთელ რიგ ქვეყნებში გაცილებით მაღალია. შვეიცარიაში-127%, დანიაში-117 %, ნიდერლანდებში-106%, დიდ ბრიტანეთში-87%. გაცილებით ნაკლებია ირლანდიაში-48% და იტალიაში-41%. რაც შეეხება განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებს, აქ სურათი ასეთია: პოლონეთში მისი მაჩვენებელი 35%-ია, ჩეხეთში-31%, ლიტვაში-23%. საქართველოში ეს მაჩვენებელი მაღალი ნამდვილად არ არის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საშუალო დონეზეა – 39%. შედარებით განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში, სადაც ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლები მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მიხედვით 38 ათას აშშ დოლარზე მაღალია, ბუნებრივია, გაცილებით მაღალი საკრედიტო დაბანდებებით ხასიათდებიან. მაგალითისათვის საქართველოს შემოსავლების დონე ერთ სულ მოსახლეზე მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მიხედვით 10.000 აშშ დოლარამდეა, მაშინ როცა შვეიცარიაში 58 ათასი აშშ დოლარის, დანიაში – 45,6 ათასი აშშ დოლარის, ნიდერლანდებში-47 ათასი აშშ დოლარის, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში 25-30 ათასი აშშ დოლარის ფარგლებშია, ანუ ჩვენზე 3 ჯერ მეტია. აქვე აღვნიშნავ, რომ შინამეურნეობებში შედის როგორც საცალო დაკრედიტება სამომხმარებლო სესხებისა და განვადებების სახით, ასევე იპოთეკური სესხები და სესხები მეწარმე ფიზიკურ პირებზე.

ახლა ვნახოთ, თუ როგორია შინამეურნეობების დავალიანება განკარგვად შემოსავლებთან მიმართებით. ევროზონის ქვეყნებში მისი საშუალო მაჩვენებელი 2017 წლის მიხედვით არის 93%, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე შედარებით მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში კიდევ უფრო მაღალი. კანადაში-173%, შვედეთში-156%, გერმანიაში-107%-ს, ფინეთში-114%-ს, ხოლო შვეიცარიაში 182%-ს შეადგენს, დანიაში-246% და ნიდერლანებში-208%. როგორც ვხედავთ, სულაც 200%-ზე მეტია. ბუნებრივია, აქ იგულისხმება, განკარგვადი შემოსავლის მოკლე და გრძელვადიანი სესხების ჯამურ მოცულობასთან ფარდობის მაჩვენებელი და არა ყოველთვიური გადახდის მიხედვით განკარგვადი შემოსავლების პროპორცია.

საქართველოში ეროვნული ბანკის ოფიციალური მონაცემებით, 2008 წლის კრიზისამდე, საოჯახო მეურნეობის ვალის განკარგვად შემოსავალთან თანაფარდობის მაჩვენებელი 11%-ს შეადგენდა, 2012 წელს 15% იყო, ხოლო 2017 წლის ბოლოს 3.5 ჯერ გაიზარდა – 53%-ს მიაღწია და არის ევროპის საშუალო შემოსავლების მქონე ევროპის ქვეყნების დონეზე (სლოვაკეთში-63%, პოლონეთში-60%, ხორვატიაში-57%, ჩეხეთში-59%, ესტონეთში-75%, ლიტვაში-35%, ლატვიაში-37%, უნგრეთში-39% სლოვენიაში-45%), ხოლო უფრო დაბალი შემოსავლების ან თუნდაც ჩვენი დონის ქვეყნებში კიდევ უფრო დაბალია და 17-30%-ის ფარგლებშია.

აქედან გამომდინარე, ეს ინდიკატორი ზრდის დინამიკიდან და მოსახლეობის საშუალო ევროპულ დონესთან შედარებით გაცილებით დაბალი შემოსავლებიდან გამომდინარე, გარკვეულწილად ასახავს ვალაუვალობის გაზრდილ რისკებს, თუმცა, როგორც აღვნიშნე, ცალსახად მისი, როგორც კრიზისულ ზღვარზე მყოფი სიტუაციის შეფასება არასწორად მიმაჩნია.

**BFM.GE**

# „ჩვენ მარიხუანის ლეგალიზება არ მოგვიხდენია“

## საკონსტიტუციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებას განმარტავს

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მარიხუანის მოხმარებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მოხსნასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით დამატებით განმარტებას აკეთებს.

საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებაში აღნიშნულია, რომ არასწორი შეფასება კეთდება, როდესაც საუბრობენ მარიხუანის „ლეგალიზაციაზე“.

„გავრცელებულ ინფორმაციაში აქცენტი კეთდება ფაქტზე, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ მოახდინა ნარკოტიკული საშუალება – მარიხუანის „ლეგალიზაცია“. აღნიშნული შეფასება შორს დგას სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსთან და წარმოადგენს მის არასწორ განმარტებას.

„საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2018 წლის 30 ივლისს მიღებული გადაწყვეტილების შედეგად არაკონსტიტუციურად გამოცხადდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ნარკოტიკული საშუალება – მარიხუანის მოხმარებისათვის, თუ მოხმარების კონკრეტული ფაქტი არ უქმნის საფრთხეებს მესამე პირებს. საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილებაშივე აღნიშნა, რომ მარიხუანის მოხმარებისათვის პასუხისმგებლობის დაწესება კონსტიტუციის შესაბამისია იმ შემთხვევებში, როდესაც მოხმარების კონკრეტული ფაქტი ქმნის საფრთხეებს მესამე პირებისთვის,“ – აღნიშნულია განცხადებაში.

საკონსტიტუციო სასამართლოში აცხადებენ, რომ აღნიშნული ცვლილება ზეწოლის შედეგად არ მიუღიათ და ეს მარიხუანასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების გაგრძელებას წარმოადგენს.

ადმინისტრაციული სარჩელის გაუქმებასთან დაკავშირებით მედიასაშუალებებში, პოლიტიკურ წრეებსა და რელიგიურ ორგანიზაციებში გავრცელებული ინფორმაცია, საკონსტიტუციო სასამართლოს წარმომადგენლების მტკიცებით, „სასამართლოს წარმოაჩენს პოლიტიკური პროცესის მონაწილე მხარედ, ამცირებს მისდამი ნდობას, ეჭვქვეშ აყენებს მის დამოუკიდებლობას და იწვევს მისი თითოეული წევრის დისკრედიტაციას.“



## დოლიძეზე 42 წლის ლევან სიგუა მოკლეს



11 აგვისტოს, გვიან ღამით, დოლიძის ქუჩაზე, 29 ნომერთან, 42 წლის ბიზნესმენი ლევან სიგუა ჩაცხრილეს.

სავარაუდოდ, ბიზნესმენს სახლთან ელოდებოდნენ, რადგან, მეზობლების განცხადებით, 8 გასროლის შემდეგ მათ დაინახეს, რომ ტერიტორია წითელმა ავტომანქანამ დატოვა.

მალე მკვლელობის ადგილზე სიგუას ახლობლები მივიდნენ. პირველი არხის ჟურნალისტის ინფორმაციით, გარდაცვლილის ძმა ცუდად გახდა და ადგილზე სასწრაფო დახმარების გამოძახება გახდა საჭირო.

ნიუპოსტის ცნობით, ბიზნესმენის მკვლელობის მიზეზებზე სხვადასხვა ვერსია ვრცელდება, ზოგიერთი ამ ფაქტს მის ბიზნესსაქმიანობას უკავშირებს, ხოლო ზოგი მიზეზად შურისძიებას ასახელებს.

ლევან სიგუას ძმა იყო ერთ-ერთი სამშენებლო კომპანიის მფლობელი, რომელსაც დოლიძის ქუჩაზე რამდენიმე სახლი აქვს აშენებული. ამ კომპანიის წილს ლევან სიგუაც ფლობდა. გარდა ამისა, მოკლულის მეუღლეს ბალანჩივაძის ქუჩაზე სილამაზის სალონი აქვს.

საგამოძიებო მოქმედებების დასრულების შემდეგ ცხედარი ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში გადაასვენეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე (განზრახ მკვლელობის) მუხლით მიმდინარეობს, რაც 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## მკვლელობა მარნეულში – თ.ვ. ბიძაშვილის მკვლელობისთვის დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოსა და მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1994 წელს დაბადებული თ.ვ., განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მარნეულის მუნიციპალიტეტის შულავერის თემის სოფელ სეიდგოჯალოს ტყეში ურთიერთშელაპარაკებისას სანადირო თოფიდან გასროლით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა საკუთარ ბიძაშვილს – 1997 წელს დაბადებულ ნ.ვ.-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა თ.ვ. ინტენსიური ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – სანადირო თოფი ნივთმტკიცებად ამოიღო.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით და 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

## ყაჩაღობა სამეგრელოში – დაკავებულია 46 წლის მამაკაცი



შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა სამეგრელოში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტზე 46 წლის მამაკაცი დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯში ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების მუქარით 2 მოქალაქეს 4.000 ლარი გასტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა კ.ხ. მომხდარიდან რამდენიმე დღეში დააკავეს.

დანაშაულის ჩადენის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი ამოღებულია ნივთმტკიცებად.

გამოძიება ყაჩაღობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით მიმდინარეობს – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

## ხულოში 31 წლის ქალს 50 წლის მამაკაცმა 14 ჭრილობა მიაყენა



ხულოში, სოფელ ალმეში, 31 წლის ქალი, სავარაუდოდ, ცივი იარაღით დაჭრეს. დაშავებული რეანომობილით ბათუმში, რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მას 14 ჭრილობა აქვს მიყენებული.

მისი მეუღლის თქმით, თავდამსხმელი მეზობელია, რომელთანაც კონფლიქტი რამდენიმე დღის წინ დაიწყო. მიზეზად კი მეზობლის მიერ მოპარული მობილური ტელეფონი სახელდება, რის გამოც აბულაძეებმა პოლიციას მიმართეს.

რამინ აბულაძე ამბობს, რომ მეზობელი მათ სახლში მაშინ მივიდა, როცა მისი მეუღლე მარტო იმყოფებოდა და მას 14 ჭრილობა მიაყენა.

დამნაშავე განზრახ სხეულის დაზიანების ბრალდებით პოლიციამ უკვე დააკავა. მას 6 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

## ავარია კახეთის გზატკეცილზე. დაშავებულია 2 ადამიანი

ავტოავარია მოხდა თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, სადაც შუქნიშანზე გაჩერებულ ფოლკსვაგენის მარკის ავტომობილს სწრაფად მოძრავი მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა. შედეგად ფოლკსვაგენი ინერციით მის წინ მდგომ ავტომობილს დაეჯახა.



ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაშავდა ორი ადამიანი, რომლებიც ფოლკსვაგენის მარკის ავტომობილში იმყოფებოდნენ. ისინი გადაყვანილი არიან საავადმყოფოში.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია.

## სისხლიანი სუფრა ნინოწმინდაში

### 2 მამაკაცის მკვლელობისთვის მასპინძელი დააკავეს



10 აგვისტოს ნინოწმინდის რაიონის სოფელ სათხაში 2 მამაკაცი მოკლეს.

შსს-ს თანამშრომლებმა მკვლელობის ფაქტზე ამავე სოფელში მცხოვრები 1976 წელს დაბადებული გ.მ. დააკავეს. უწყების ინფორმაციით, დაკავებულმა დანით მრავლობითი ჭრილობები მიაყენა პ.მ-ს და ს.პ.-ს, აღნიშნული პირები მიღებული ჭრილობების შედეგად ადგილზე გარდაიცვალნენ.

დადგინდა, რომ 10 აგვისტოს სოფელი სათხის მცხოვრებმა გ.მ.-მ საკუთარ სახლში დაპატიჟა თანასოფლელები ე.ც. და ა.პ., ასევე მოგვიანებით სუფრაზე მიიწვიეს ე.ც-ს ნაცნობები, თბილისიდან სტუმრად მყოფი პირები: 1974 წელს დაბადებული პ.მ. და 1983 წელს დაბადებული ს.პ.

რამდენიმე საათში სახლის მასპინძელსა და პ.მ.-ს შორის მოხდა შელაპარაკება, რომელიც გადაიზარდა ფიზიკურ დაპირისპირებაში. გ.მ.-მ დანით მრავლობითი ჭრილობები მიაყენა პ.მ-ს და ს.პ.-ს, აღნიშნული პირები მიღებული ჭრილობების შედეგად ადგილზე გარდაიცვალნენ.

სამცხე-ჯავახეთის პოლიციის თანამშრომლებმა ცხელ კვალზე გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად გ.მ. მკვლელობიდან რამდენიმე საათში დააკავეს.

ჩადენილი დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**სამხრეთის კარიბჭე**

## თბილისში მამაკაცი აზერბაიჯანის მოქალაქეს დანის მუქარით ფულს ართმევდა

ყაჩაღობის კიდევ ერთი ფაქტი მოხდა თბილისში – ქვეითმა პატრულებმა მამაკაცი იმ დროს დააკავეს, როდესაც ის აზერბაიჯანის მოქალაქეს დანის მუქარით ფულს ართმევდა.

დაკავებული 21 წლის ქურდობის მცდელობისთვის პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ახალგაზრდაა. დანაშაული 5-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## ავარია ტრაბზონში – დაშავდა საქართველოს 5 მოქალაქე



ტრაბზონში მაგისტრალზე მომხდარი ავარიის შედეგად საქართველოს ხუთი მოქალაქე დაშავდა.

თურქული მედიის ინფორმაციით, გზაზე მოულოდნელად ხარმა გადაირბინა, რასაც ავტოკატასტროფა მოჰყვა. ავტომაგისტრალზე მიკროავტობუსი მსუბუქ ავტომობილს შეეჯახა. ინფორმაციას თურქული გამოცემა Cumhuriet ავრცელებს.

ავარიას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

პირველი არხი ტრაბზონში საქართველოს გენერალურ საკონსულოს დაუკავშირდა. როგორც ვიცეკონსულმა თემურ ტარტარაშვილმა განაცხადა, ამ დროის მონაცემებით, საკონსულოში შემთხვევის შესახებ ინფორმაცია არ შესულა.

**პირველი არხი**

# „არ ვიცი, როგორ დავსვა თვითმფრინავი. ცხოვრებისგან განადგურებული ბიჭი ვარ. ყველას პატიებას გთხოვთ!“

## სიეტლში თვითმფრინავის გამტაცებელმა სიცოცხლის ბოლო წუთებში დისპეტჩერებს გული გადაუშალა



11 აგვისტოს სიეტლის აეროპორტიდან ადგილობრივმა მექანიკოსმა ცარიელი სამგზავრო თვითმფრინავი გაიტაცა.

თვითმფრინავმა რამდენიმე წუთი იფრინა, შემდეგ კი მიწაზე დაეცა.

ამერიკულ მედიაში გავრცელდა გამტაცებლის საუბრის ჩანაწერი ავიადისპეტჩერებთან, რომლებიც მას თვითმფრინავის აეროპორტში დასმას სთავაზობდნენ.

გაშიფრული ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ საუბრის დასაწყისში გამტაცებელი რიკი (მისი გვარი არ სახელდება) შესანიშნავ ხასიათზე იყო, ხუმრობდა და აცხადებდა, რომ მას ალბათ მალე პილოტად აიყვანენ, თუმცა, რამდენიმე წუთში განაცხადა, რომ მას საერთოდ არ ჰქონდა გეგმაში თვითმფრინავის დასმა.

მალე მან ნერვიულობა დაიწყო, რომ საწვავი თავდებოდა, აცხადებდა, რომ ხომალდის ძრავა შეიძლება აფეთქებულიყო.

დისპეტჩერები მთელი ფრენის განმავლობაში მას სთავაზობდნენ, არ შეესრულებინა სახიფათო მანევრები, მაგალითად „კასრი“ და სხვა, ცდილობდნენ აეხსნათ, როგორ დაესვა თვითმფრინავი, რის შემდეგაც რიკმა განაცხადა, რომ მან არ იცოდა, როგორ დაესვა საჰაერო ხომალდი.

– არ ვიცი, როგორ დავსვა თვითმფრინავი. ვწუხვარ, რომ დღე გაგიფუჭეთ. ბევრი ადამიანი არსებობს, რომელთათვისაც მე მნიშვნელოვანი ადამიანი ვარ. ისინი შეწუხდებიან, როცა გაიგებენ, რომ მე ეს ჩავიდინე. მინდა, თითოეულ მათგანს პატიება ვთხოვო. მე ერთი ცხოვრებისგან განადგურებული ბიჭი ვარ, – განაცხადა რიკმა საუბრის დასასრულს.

# აფეთქება ბრიტანეთის ქალაქ სოლსბერის სამხედრო ქარხანაში

### 1 ადამიანი დაიღუპა




11 აგვისტოს ბრიტანეთის ქალაქ სოლსბერიში, სამხედრო ქარხანაში, აფეთქება მოხდა, სადაც ქვეყნის შეიარაღებული ძალების თვითმფრინავებისა და გემების აღჭურვილობას, მათ შორის სარადარო სისტემებს აწარმოებენ.

აფეთქების შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა, კიდევ ერთი კი საავადმყოფოში კრიტიკულ მდგომარეობაში გადაიყვანეს.

პოლიციის ვერსიით, ინციდენტი ყოფილი რუსი აგენტის სერგეი სკრიპალისა და მისი ქალიშვილის მოწამვლის საქმეს არ უკავშირდება, თუმცა ქარხანა ხუთიოდე კილომეტრითაა დაშორებული იმ ქიმიური ლაბორატორიიდან, რომელიც გამოძიებაშია ჩართული.

# ბრძოლები სირიაში

რუსეთის არმიის ოფიცრის, პოლკოვნიკ ციგანკოვის ცნობით, სირიელმა პარტიზანებმა რუსეთის ბაზაზე თავდასხმა განახორციელეს.

შედეგად დაიღუპა 3 რუსი ჯარისკაცი. სირიელებს შორის მოკლულია 1. დანარჩენებმა უკან დაიხიეს.

– თავდასხმა მოგერიებულია, – აცხადებს ციგანკოვი.

პოლკოვნიკმა სირიელ პარტიზანებს მოუწოდა, იარაღი დაყარონ და ასადის ხელისუფლებას დამორჩილდნენ.

# ავღანეთში თალიბებთან შეტაკებას 103 ადამიანი ემსხვერპლა



ავღანეთის ქალაქ ღაზნიში ტერორისტულ დაჯგუფება „თალიბანის“ მებრძოლთა და სახელისუფლებო ჯარების შეტაკების შედეგად 103 ადამიანი დაიღუპა, 133 კი დაშავდა.

დაღუპულია 90 ძალოვანი და 13 მშვიდობიანი მოქალაქე. დანაკარგებია დაჯგუფების მხარესაც.

10 აგვისტოს თალიბებმა იერიში ქალაქ ღაზნიზე მიიტანეს. მათ ქალაქში შეღწევა სხვადასხვა მიმართულებიდან სურდათ, რის გამოც ცენტრალური მაგისტრალები გადაიკეტა.

# თურქეთი სავაჭრო პარტნიორებთან ანგარიშის ლირაში საწარმოებლად ემზადება



თურქეთი ემზადება, თავის უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებთან – რუსეთთან, ჩინეთთან, ირანთან და უკრაინასთან – ანგარიში ეროვნულ ვალუტა ლირაში აწარმოოს.

ამის შესახებ ქვეყნის პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიპ ერდოღანმა განაცხადა. მისივე თქმით, თუკი ევროპის ქვეყნებსაც მოესურვებათ, დოლარს თავი დააღწიონ, ანკარა მზად არის, მათთანაც ასეთივე სახით აწარმოოს ანგარიში ვაჭრობის სფეროში.

ერდოღანის განცხადებით, თურქეთისთვის მიუღებელია მსოფლიო წესრიგი, რომლითაც მსოფლიოს გამოეცხადა ეკონომიკური ომი, ქვეყნებზე კი ხორციელდება ზეწოლა სანქციების დაწესების მუქარით.

– მათ, ვინც ცდილობს, თურქეთთან ანგარიშსწორება აწარმოოს, უნდა ესმოდეთ, რომ მსოფლიოში არ არსებობს არც ერთი პოლიტიკოსი და ქვეყანა, რომლებიც წარმატებას მიაღწევენ მტრული პოლიტიკის წარმოებით ანკარის წინააღმდეგ, – განაცხადა ერდოღანმა.

მისი თქმით, ნებისმიერი, ვინც გახდა თურქი ხალხის ტანჯვის მიზეზი, ადრე თუ გვიან ამისთვის პასუხს აგებს. თურქეთის ლიდერის განცხადებით, ქვეყანამ დაისახა ამბიციური მიზნები და მათ მისაღწევად მიიწევს წინ – ის ნებისმიერ რყევებსა და მუქარებს გაუძლებს.

– ვერავინ აიძულებს თურქეთს, უარი თქვას საკუთარ მიზნებზე ეკონომიკაში, უკან დაიხიოს ტერორიზმთან ბრძოლაში. ამის შესახებ ღიად ვაცხადებ. თურქეთი არ შეიცვლის თავის პოზიციას სირიისა და ირანის მიმართ, – განაცხადა ერდოღანმა.

# სროლები მანჩესტერში – 10 ადამიანი დაიჭრა




12 აგვისტოს დიდი ბრიტანეთის ქალაქ მანჩესტერში სროლების შედეგად 10 ადამიანი დაიჭრა. მათ სხვადასხვა ხარისხის ჭრილობები მიიღეს. დაშავებულები საავადმყოფოში არიან გადაყვანილი. მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ამის შესახებ ადგილობრივი პოლიცია იუწყება.

ინციდენტი მოს საიდის რაიონში მოხდა.

საგამოძიებო პოლიციის განყოფილების ხელმძღვანელ დები დულის განცხადებით, სროლებამდე რამდენიმე საათით ადრე კარიბული კარნავალი მიმდინარეობდა, რის გამოც ქუჩაში უამრავი ადამიანი იყო.

არსებული ინფორმაციით, უბანი, სადაც სროლები მოხდა, ცნობილია ნარკოდილერებისა და იარაღით მოვაჭრეთა აქტიურობით.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ჩინელს თავში ლითონის სარი შეერჭო და გადარჩა



ჩინელი მშენებელი მას შემდეგ გადარჩა, რაც თავში ლითონის სარი ჩაერჭო.

ინციდენტი პროვინცია განსუში რამდენიმე დღის წინ მოხდა. მამაკაცი მშენებლობაზე დამცავი ჩაფხუტის გარეშე მუშაობდა, როდესაც მას მაღლიდან თავზე სამმეტრიანი ლითონის სარი დაეცა.

მეხანძრეებს ლითონის სარის გადაჭრა მოუხდათ, რათა დაშავებული საავადმყოფოში გადაეყვანათ. ექიმების თქმით, ლითონის საგანმა მამაკაცის თავის ტვინში დაახლოებით 20 სანტიმეტრზე შეაღწია. ოპერაციის დროს ექიმებმა ლითონის სარი დაშავებულს თავიდან ამოაძვრეს და თავის ქალაც წარმატებით გაუმთელეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 56 წლის მამაკაცს ოპერაციის შემდგომი გართულებები არ ჰქონია და მისი გამოჯანმრთელება ნორმალურად მიმდინარეობს. ის, სავარაუდოდ, საავადმყოფოს ერთ კვირაში დატოვებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## განცხადებები

### სხვადასხვა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამადანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# საბურთალო არ ჩერდება, კირკიტაძემ ყოფილი გუნდი დასაჯა

**კოლხეთი-საბურთალო 1:3**

**ფოთი. პარკი არენა**

0:1, 0:2 გონსალვესი (31, 44), 0:3 გოშთელიანი (62), 1:3 მიხალიოვი (82)

**კოლხეთი:** კნიგა, კერელეიშვილი, ციკოლია, დოროშენკო, აფხაზავა, მელო (შალიკაშვილი 76), აშორტია (მჭედლიშვილი 46), მიხალიოვი, კაბორე, იმნაძე, გოგბერაშვილი (ტყემალაძე 51)

**საბურთალო:** კუპატაძე, მარგველაშვილი, ნადარაია (მალი 46), გოშთელიანი (დვალიშვილი 63), კოხრეიძე, ჩაბრაძე, ალთუნაშვილი, გორგიაშვილი, გონსალვესი (ვოლკოვი 70), დიასამიძე, რეხვიაშვილი

ჩემპიონატის ლიდერი საბურთალო ფოთს ესტუმრა და ბოლოადგილოსან კოლხეთს 3:1 აჯობა. საბურთალოსთვის ეს გამარჯვება პირველი აღმოჩნდა ფოთში – მოგება კი არა, აქამდე გუნდს გოლიც არ ჰქონდა გატანილი. 2015 წლიდან მოყოლებული 3 სტუმრობა და 3 მარცხი – 0:1, 0:1 და 0:3. ახლა კი გუნდმა ერთბაშად 3 გოლი გაიტანა და ამდენივე ქულაც ჩაიწერა აქტივში.

მატჩი საბურთალოს უპირატესობით წარიმართა. ანგარიშის გახსნასთან ახლოს გაგი მარგველაშვილი იყო, როდესაც შეტევაში ჩართულს ზუსტი დარტყმა რომ განეხორციელებინა, თავისიანებს წინ გაიყვანდა, მაგრამ მეკარემ იყოჩაღა. 31-ე წუთზე კი გიორგი კოხრეიძის გადაცემის შემდეგ, ბურთის მიწაზე დაუშვებლად ვაგნერმა ცაციით აუღებელი დაურტყა დენის კნიგას. ბრაზილიელმა ასევე უშანსოდ დატოვა მეკარე 44-ე წუთზე, როდესაც მარცხენა ფეხით, მოხდენილი დარტყმით 2:0 გახადა ანგარიში.



მეორე ტაიმში გატანასთან ახლოს გურამ გოშთელიანი იყო, კომბინაცია კი თორნიკე გორგიაშვილმა წამოიწყო, კოხრეიძემ გააგრძელა, მაგრამ გოშთელიანმა ვერ დააგვირგვინა. მეორე მცდელობა კი გოშთელიანისთვის შედეგიანი გამოდგა – საგოლე პასი კოხრეიძემ გაუკეთა და ახლო მანძილიდან ანგარიში სოლიდური გახადა.

მეორე ნახევრის ბოლოს საქმეში ჩართვა ლაზარე კუპატაძესაც მოუხდა, როდესაც ორჯერ რთულად ასაღები ბურთი მოიგერია. მასპინძლებმა ერთადერთი, რაც მოახერხეს, პრესტიჟის გოლის გატანა იყო – ილია მიხალიოვმა 82-ე წუთზე საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

გეტყვით იმასაც, რომ 63-ე წუთზე საბურთალოში ლადო დვალიშვილის დებიუტი შედგა, რომელიც რამდენიმე დღის წინ ჩაირიცხა კლუბში. პირველივე შეხვედრაში ახალწვეულს გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ ერთ-ერთ ეპიზოდში ფორვარდის დარტყმული ჯერ ძელს მოხვდა ბურთი, შემდეგ კი კოლკიპერმა მოიგერია.

**სამტრედია-სიონი 0:4**

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

0:1, 0:2 კირკიტაძე (12, 16), 0:3 მახარობლიძე (32), 0:4 კირკიტაძე (74)

**სამტრედია:** პოგორილი, მამასახლისი (მესიაჩენკო 79), კოშმანი, ტუღუში, ლიპარტია, მაქაცარია (სმირნოვი 46), ახალაძე, ჩაჩუა, კერძევაძე, გოგიაშვილი, ენდელაძე (კუჭუხიძე 60)

**სიონი:** ზარქუა, მინდორაშვილი, გურეშიძე, ნოზაძე, კოშკაძე (მანაგაძე 71), ლევან ხმალაძე, კირკიტაძე, მახარობლიძე (მიქაბერიძე 46), ტრეტიაკი (დათუნაიშვილი 64), ისიანი, გიორბელიძე

ცხრილის ქვედა ნაწილში მოქცეული გუნდების მატჩში სტუმრებმა მოიგეს – ბოლნისის სიონი სამტრედიის სტუმრად 4:0 დაამარცხა. მატჩის გმირი კი დავით კირკიტაძე გახდა, რომელმაც 3 გოლთან ერთად, ერთი საგოლე პასიც გააკეთა. არადა, კირკიტაძე სეზონის პირველ ნახევარში სწორედ სამტრედიას ღირსებას იცავდა, გუნდიდან გაუშვეს და ინანეს კიდეც.

მატჩის ბედი პირველივე ტაიმში გადაწყდა. მასპინძლებს დუბლი კირკიტაძემ შეუსრულა, შემდეგ კი პოგორილის კარი მახარობლიძემ დალაშქრა. სხვათა შორის, ამ ფეხბურთელებს საქართველოს მიმდინარე ჩემპიონატზე აქამდე გოლი არ ჰქონდათ გატანილი.

შესვენების შემდეგ სამტრედია უშედეგოდ უტევდა, სიონი კი სახიფათო კონტრშეტევებით პასუხობდა და კირკიტაძემ ჰეთ-თრიკიც შეასრულა.

მოკლედ, სამტრედია ისევ დამარცხდა და მის წარუმატებელ სერიას დასასრული არ უჩანს – იმერლებს 19 ტურის მერე არ მოუგიათ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საბურთალო | 20 | 16 | 1 | 3 | 41-15 | 49 |
| 2.დინამო | 19 | 13 | 2 | 4 | 40-18 | 41 |
| 3.ჩიხურა | 19 | 10 | 4 | 5 | 31-17 | 34 |
| 4.დილა | 18 | 9 | 7 | 2 | 36-24 | 34 |
| 5.ტორპედო | 18 | 8 | 3 | 7 | 26-18 | 27 |
| 6.ლოკომოტივი | 19 | 6 | 4 | 9 | 23-32 | 22 |
| 7.რუსთავი | 19 | 5 | 6 | 8 | 19-25 | 21 |
| 8.სიონი | 20 | 4 | 4 | 12 | 19-36 | 16 |
| 9.სამტრედია | 20 | 1 | 6 | 13 | 13-35 | 9 |
| 10.კოლხეთი | 20 | 3 | 5 | 12 | 21-49 | 8 |

შენიშვნა: კოლხეთს დაკლებული აქვს 6 ქულა

# 18 წლამდე გოგონები ბ დივიზიონში დასარჩენად იბრძოლებენ

საქართველოს 18 წლამდე გოგონათა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში ორჯერ წააგო და ახლა ბრძოლა დივიზიონში ადგილის შესანარჩუნებლად მოუწევს. ნინო ყიფშიძისა და ზვიად დიდბარიძის გაწვრთნილმა გუნდმა ავსტრიაში მიმდინარე ტურნირზე საკვალიფიკაციო მატჩი ჯერ ბულგარეთთან გამართა და, წინა შეხვედრის მსგავსად, კარგად დაწყებული საქმე წარმატებით ვერ დააგვირგვინა.



საქართველოს ნაკრები პირველი ნახევრის შემდეგ 31:30 ლიდერობდა, ხოლო მესამე პერიოდის უმეტეს ნაწილს 3-5 ქულით იგებდა, თუმცა აღნიშნული მეოთხედის დასკვნით ნაწილსა და ბოლო ათწუთეულში ქართველებმა ბევრი შეცდომა დაუშვეს, ბულგარელებმა კი პირიქით – ტემპს და სიზუსტეს მოუმატეს და მოპოვებული უპირატესობა აუღელვებლად შეინარჩუნეს. ბულგარეთმა საქართველო 80:69 დაამარცხა.

საქართველოს ნაკრებში კვლავ ნატალია ოთხმეზური გამოირჩა, რომელმაც 29 ქულა, 9 მოხსნა და 5 პასი მოაგროვა. ნინო გადელიამ 12 ქულა, 7 მოხსნა და 7 ჩაჭრა მიითვალა, ხოლო მარიამ ღარიშვილის ანგარიშზე 10 ქულა, 6 მოხსნა დაგროვდა.

მორიგი მატჩი საქართველოს ტურნირის ერთ-ერთ უიმედო აუტსაიდერ კოსოვოსთან ჰქონდა და ისიც წააგო, ამჯერად დაძაბულ ბრძოლაში, 1 ქულის სხვაობით – 43:44.

ქართველთაგან 15 ქულით საუკეთესო იყო ოთხმეზური, ვიკა გეგეშიძემ კი 11 ქულა მოაგროვა.

ეს გახლდათ ტურნირზე 21-24 ადგილების გასანაწილებელი საკვალიფიკაციო შეხვედრა, რომლის გამარჯვებულმა კოსოვომ 21-ე ადგილისთვის მატჩში ასპარეზობის უფლება მოიპოვა, საქართველო კი ტურნირს 23-ე ადგილისთვის მატჩით დაასრულებს. ბ დივიზიონის ბოლოსწინა, 23-ე ადგილისთვის საქართველოს ნაკრების მეტოქე იქნება ნორვეგია, რომელმაც თავის მხრივ საკვალიფიკაციო შეხვედრა ალბანეთთან დათმო.

# 16 წლამდე ნაკრებმა საფრანგეთთან 52 ქულით წააგო

ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ასპარეზობა საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა ბრძოლით დაიწყო. სამწუხაროდ, გია კაზანჯიანისა და გელა წულაძის გაწვრთნილმა გუნდმა ესტონეთთან მარცხი განიცადა. ჩვენმა ნაკრებმა ბოლო პერიოდში თითქმის უიმედო მატჩი შემოატრიალა და გამარჯვებაც შეეძლო, მაგრამ შეხვედრის დასრულებამდე 2 წუთზე ოდნავ ნაკლები რჩებოდა, როცა 64:69 ჩამორჩენილი საქართველოს ნაკრების ფორვარდმა ნიკოლოზ გაფრინდაშვილმა 2 საჯარიმო ააცილა, ბურთი ირაკლი კილაძემ მოხსნა, თუმცა არც მისი ნასროლი ჩაეშვა კალათში, რის შემდეგაც ესტონელებმა სწრაფი შეტევა დააგვირგვინეს და საქართველო საბოლოოდ გატეხეს.



არადა, შეხვედრის დასრულებამდე შვიდიოდე წუთით ადრე ესტონეთი 20 ქულით იგებდა და მატჩის ბედიც თითქმის სათავისოდ ჰქონდა გადაწყვეტილი, თუმცა ვლადიმერ თავაქარაშვილისა და დავით გოგაძის სამქულიანებმა, გაფრინდაშვილისა და ალექსი მერკვილაძის ფარზე კარგმა თამაშმა, ქართველების გუნდურმა სულისკვეთებამ ჩამორჩენა 4 წუთში 5 ქულამდე შეამცირა, თუმცა საბოლოო გამარჯვების მოპოვებამდე საქართველოს ნაკრებს მცირედი დააკლდა.

ჩვენმა ნაკრებმა მეტოქეზე კარგად იმუშავა ფარქვეშ (9-ით მეტი ბურთი მოხსნა), თუმცა საჯარიმო სროლების ცუდად შესრულება გახდა დამარცხების უმთავრესი მიზეზი. ესტონელებმა 11 ცდიდან 7 ჩააგდეს, ქართველებმა კი 33-დან მხოლოდ 14 გამოიყენეს. ამასთან, ბალტიისპირელებმა ქართველებზე 5-ით მეტი სამიანი მიითვალეს.

საბოლოოდ ესტონელებმა 76:66 იმარჯვეს, რაშიც ლომის წილი იონას რიისმას (18 ქულა) და ილიმარ რაიენდს (15 ქულა) მიუძღვით. საქართველოს ნაკრებში 17 ქულითა და 9 მოხსნით საუკეთესო იყო ვლადიმერ თავაქარაშვილი. 15 ქულა ჰქონდა ზურა ვაშაკიძეს, ხოლო ალექსი მერკვილაძის ანგარიშზე 12 ქულა დაგროვდა.

საქართველოს ნაკრებმა მეორე შეხვედრაში 2 განსხვავებული ტაიმი ითამაშა ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტთან, საფრანგეთის ნაკრებთან. პირველში იბრძოლა, ზონური პრესინგი გამოუვიდა და მთლიანობაში კარგადაც გაისარჯა, რისთვისაც დიდი შესვენებისთვის მხოლოდ 2 ქულით – 37:39 ჩამორჩებოდა. მეორე ნახევარი კი დიამეტრალურად განსხვავებული გამოდგა. საფრანგეთმა მატჩზე სრული კონტროლი დაამყარა და მესამე პერიოდი 21:2 გაქცევით დაიწყო. შედეგად, 60:39 დაწინაურდა და მატჩის ბედიც სათავისოდ გადაწყვიტა.

მესამე პერიოდი ფრანგებმა 39:11 მოიგეს, რასაც ბოლო 28:8 მიაყოლეს და საბოლოოდ გამანადგურებელი სხვაობით – 106:54 იმარჯვეს.

საინტერესო შედეგი დაფიქსირდა ჩვენი ჯგუფის მეორე მატჩში. ესტონეთმა, რომელთანაც საქართველო გუშინ 66:76 დამარცხდა, 15 ქულით დაამარცხა იტალია. შესაბამისად, ჯგუფური ეტაპის ბოლო მეტოქე იტალიასთან საქართველოს ნაკრებს მოგებაზე მართებს თამაში.

# რაკიტიჩმა ბარსელონას ულტიმატუმი წაუყენა

ბოლო რამდენიმე დღეა, რაც ივან რაკიტიჩის ტრანსფერის თაობაზე ჭორები გავრცელდა. ხორვატიის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელს ორი ფრანგული კლუბი ეპატიჟება – მისი შეძენის სურვილი მონაკომ და პსჟ-მ გამოთქვეს. მალევე მათ რიგებს კიდევ ერთი კლუბი დაემატა.



ესპანური მედიის ინფორმაციით, ხორვატი ნახევარმცველის შეძენა მიუნხენის ბაიერნს სურს. როგორც ესპანური სპორტული გამოცემა იტყობინება, ამ ტრანსფერის ინიციატორი გერმანული გრანდის თავკაცი ნიკო კოვაჩი ყოფილა.

ბაიერნის მთავარმა მწვრთნელმა კარგად იცის, თუ რა პოტენციალი გააჩნია მის თანამემამულეს. კოვაჩს სურს, რომ სატრანსფერო პერიოდის დასრულებამდე ფეხბურთელთან და ბარსელონასთან შეთანხმებას მიაღწიოს.

ასევე გავრცელდა ცნობები იმის თაობაზე, რომ თავად რაკიტიჩს მნიშვნელოვანი შეხვედრა ჰქონდა მთავარ მწვრთნელ ერნესტ ვალვერდესთან. საუბრის მთავარი თემა კლუბში ხორვატი ფეხბურთელის როლი და ადგილი იყო. როგორც ესპანური მედია იტყობინება, ბარსელონის თავკაცმა რაკიტიჩს განუცხადა, რომ ის ძალიან საჭირო ფეხბურთელია.

მათ შეხვედრას კლუბის ხელმძღვანელებიც ესწრებოდნენ და ხორვატმა ნახევარმცველმა განუცხადა, რომ მას არ სურს, მიმდინარე სატრანსფერო პერიოდში ბარსელონამ კიდევ ერთი ცენტრალური ნახევარმცველი შეიძინოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფეხბურთელის სურვილი იქნება, კლუბი დატოვოს.

საინტერესოა, როგორ განვითარდება მოვლენები, თან თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „ბლაუგრანას“ კიდევ ერთი ნახევარმცველის შეძენა აქვს დაგეგმილი.

# შედეგები

## 11 აგვისტო

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ნიუკასლი-ტოტენჰემი ..... 1:2
ბორნმუთი-კარდიფი ..... 2:0
უოტფორდი-ბრაიტონი ..... 2:0
ფულემი-კრ.პალასი ..... 0:2
ჰადერსფილდი-ჩელსი ..... 0:3
ვულვზი-ევერტონი ..... 2:2

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ასტონ ვილა-უიგანი ..... 3:2
ბლექბერნი-მილუოლი ..... 0:0
ბოლტონი-ბრისტოლი ..... 2:2
ქპრ-შეფილდი ..... 1:2
მიდლსბრო-ბირმინგემი ..... 1:0
ნორვიჩი-ვესტ ბრომვიჩი ..... 3:4
ნოტინგემი-რედინგი ..... 1:0
როტერჰემი-იფსვიჩი ..... 1:0
სტოკი-ბრენტფორდი ..... 1:1
სუონსი-პრესტონი ..... 1:0
უენსდი-ჰალი ..... 1:1
დერბი-ლიდსი ..... 1:4

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ნანტი-მონაკო ..... 1:3
ანჟე-ნიმი ..... 3:4
ლილი-რენი ..... 3:1
მონპელიე-დიჟონი ..... 1:2
ნიცა-რეიმსი ..... 0:1
სტ.ეტიენი-გენგამი ..... 2:1

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

კლერმონი-მეცი ..... 2:3

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

დუისბურგი-ბოხუმი ..... 0:2
არმინია-დინამო ..... 2:1

**ჰოლანდია. ეპედივიზიონი**

აიაქსი-ჰერენვენი ..... 1:1
ტილბურგი-ვენლო ..... 0:1
პსვ-უტრეხტი ..... 4:0
ექსელსიორი-სიტარდი ..... 1:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

სეტუბალი-ავიში ..... 2:0
ტონდელა-ბელენენსეში ..... 0:1
პორტუ-შავიში ..... 5:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ენისეი-ცსკა ..... 1:1
სპარტაკი-ანჟი ..... 1:0
როსტოვი-კრილია ..... 0:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუგანო-გრასჰოპერსი ..... 2:2
ქსამაქსი-თუნი ..... 1:5

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ჰართსი-სელტიკი ..... 1:0
ლივინგსტონი-კილმანროკი ..... 0:0
მოზერველი-ჰამილტონი ..... 0:1
დანდი-აბერდინი ..... 0:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ალტახი-ინსბრუკი ..... 1:2
ზალცბურგი-აუსტრია ..... 2:0
ჰარტბერგი-მატერსბურგი ..... 4:2

**ბელგია. 1 დივიზიონი**

სტანდარდი-სერკლი ..... 0:0
ვარეგემი-ეუპენი ..... 4:0
სტ.ტრუიდენი-ლოკერენი ..... 1:1
მუსკრონი-ანტვერპენი ..... 0:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

რიზე-ქაშიმფაშა ..... 2:3
სივასი-ალანია ..... 1:0
ფენერბახჩე-ბურსა ..... 2:1

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ოპავა-სლოვანი ..... 1:1
პრჟიბრჟამი-დუკლა ..... 4:0
იაბლონეცი-კარვინა ..... 4:1
პლზენი-ზლინი ..... 1:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პოგონი-კრაკოვია ..... 1:1
არკა-გურნიკი ..... 1:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

შახტარი-ვორსკლა ..... 4:1

**შახტარის მე-3 გოლი დავით ხოჭოლავამ გაიტანა**

**დანია. სუპერლიგა**

ჰობრო-ოდენსე ..... 3:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

იორებრო-ბრომაპოიკარნა ..... 0:1

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ვაასა-სეინეიოკი ..... 0:2
ჰონკა-ტპს ..... 3:0

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ქართველი ხელბურთელები ჯგუფში ლიდერობენ



თუკი სპორტის სათამაშო სახეობებში ლოგიკა არსებობს, მაშინ, არ არის გასაკვირი, რომ შეხვედრა, სადაც მეტოქეებმა ერთმანეთს ანგარიში თვრამეტჯერ გაუთანაბრეს, ფრედ დამთავრდა. მეორე მხრივ, გამარჯვება ორივეს შეეძლო, თან, ზოგადად კი არ ვგულისხმობთ, იმის თქმა გვინდა, რომ გამარჯვება ორივე გუნდს ბოლო წუთზე შეეძლო. ფორტუნამ ფრე არჩია.

ეს მოხდა ფინეთისა და საქართველოს ნაკრებების შეხვედრაზე ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც ჯერჯერობით ყველაზე დაძაბული გამოდგა. მეტოქეებმა მაქსიმუმ ორი ბურთით შეძლეს დაწინაურება. თავიდან საქართველო იყო წინ, მე-19 წუთზე კი ფინეთი დაწინაურდა და მერე დარბაზში ვითარება იცვლებოდა.

საქართველოს ნაკრებიდან საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს მეკარე იური სილაგაძე, რომელმაც მართლა ჩინებულად ითამაშა. გარდა იმისა, რომ მთელი მატჩის განმავლობაში მან შესანიშნავად შეასრულა თავისი უშუალო მოვალეობა, მე-10 წუთზე გოლიც კი გაიტანა. ბოლოს შეეძლო, სულაც გმირი გამხდარიყო, მაგრამ...

სირენამდე 2 წუთზე ნაკლები იყო დარჩენილი, როცა ჩვენები 23:25 ჩამორჩნენ, მაგრამ კალანდაძემ და კუხალაშვილმა გაათანაბრეს ანგარიში, ფინეთი ბოლო შეტევაში უმეკაროდ წავიდა და 7 ხელბურთელით შემოგვიტია, მაგრამ ბურთი დაკარგა, დასრულებამდე 2 წამით ადრე მეკარე სილაგაძემ ცარიელ კარში გადაისროლა ბურთი, მაგრამ ააცილა – 25:25.

ფინეთთან ნათამაშები დრამატული ფრის შემდეგ ქართველებმა ბელარუსის ძლიერ გუნდს მოუგეს, 32:24 და ჯგუფში ლიდერობენ. არადა, წინა დღეს, საბერძნეთთან დამაჯერებელი გამარჯვების გამო ბელარუსები ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნიეს.

საქართველოს ნაკრების წარმატებაში უკლებლივ ყველა მოთამაშემ დიდი წვლილი შეიტანა, აღსანიშნავია გამარჯვების წყურვილი, რომლითაც ჩემპიონატის მასპინძლები გამოირჩეოდნენ, მაგრამ ქართველ ხელბურთელებს შორის აუცილებლად გამოსაყოფია მარჯვენა ინსაიდი გიორგი ცხოვრებაძე, რომელმაც 20 გოლი გაიტანა. შეხვედრის განმავლობაში ცხოვრებაძემ ოცჯერ დაარტყა მეტოქის კარში და 15 გოლი შეაგდო, დანარჩენი 5 კი შვიდმეტრიანიდან გაიტანა.

# უეფამ ნომინანტები დაასახელა

უეფამ 2017-18 წლების სეზონის ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ფეხბურთელობის ნომინანტები დაასახელა.

**საუკეთესო მეკარე:** ალისონ ბეკერი, ჯანლუიჯი ბუფონი, კეილორ ნავასი;



**საუკეთესო მცველი:** მარსელო, სერხიო რამოსი, რაფაელ ვარანი;

**საუკეთესო ნახევარმცველი:** კევინ დე ბრუინი, ტონი კროოსი, ლუკა მოდრიჩი;

**საუკეთესო ფორვარდი:** ლიონელ მესი, კრიშტიანუ რონალდუ, მოჰამედ სალაჰი.

გამოკითხვაში მონაწილეობას 2017-18 წლებში ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მონაწილე კლუბის მწვრთნელები, 55 ჟურნალისტი და უეფას წევრი ასოციაციის წევრები მიიღებენ.

აღსანიშნავია, რომ მწვრთნელს თავისი კლუბის ფეხბურთელის დასახელების უფლება არ აქვს. გამარჯვებულები 30 აგვისტოს მონაკოში, ჩემპიონთა ლიგის 2018-19 წლების ჯგუფური ეტაპის წილისყრის დროს გამოვლინდებიან და დაჯილდოვდებიან.

რაც შეეხება გასულ წელს, საუკეთესო მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი გახდა, მცველი – სერხიო რამოსი, ნახევარმცველი – ლუკა მოდრიჩი, საუკეთესო ფორვარდის პრიზი კი კრიშტიანუ რონალდუმ არავის დაუთმო.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# მიხეილ სააკაშვილი: „თუ ივანიშვილი გაგრძელდა საქართველოში, გარანტიას გაძლევთ, ლარის კურსი იქნება მინიმუმ 4“



ლარის კურსის ვარდნას ეხმაურება საქართველოს მესამე პრეზიდენტი, რომელიც აცხადებს, რომ საქართველოს მთავრობა კი არ ჰყავს, არამედ „ხარბი ოლიგარქი, რომელიც ვალუტის კურსზე თამაშით ფულს აკეთებს“. სააკაშვილი ქვეყანაში ვითარების გაუარესებას პროგნოზირებს.

სააკაშვილის თქმით, ბიძინა ივანიშვილმა ბანკების მონოპოლიით შეძლო ოჯახების გაღარიბება.

– ლარის კურსმა ისევ დაიწყო მკვეთრად ვარდნა და მთავრობა ისევ სრულ უუნარობაშია. თუმცა, საქართველოს არ ჰყავს მთავრობა, საქართველოს ჰყავს ხარბი ოლიგარქი, რომელმაც საბანკო მონოპოლიით გაანადგურა ქართული ოჯახების ბიუჯეტი და ფულს აკეთებს ვალუტის კურსზე თამაშით, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მისივე თქმით, 2008 წლის აგვისტოს ომის დროსაც კი შეძლო ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებამ, რომ ლარის კურსი შეენარჩუნებინა.

ენმ-ის ლიდერი ქვეყანაში ვითარების გაუარესებას პროგნოზირებს. სააკაშვილი 2008 წლის პერიოდს იხსენებს და ამბობს, რომ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებამ ლარის კურსის შენარჩუნება ომის დროსაც კი შეძლო.

– მინდა შეგახსენო, რომ ამხელა არმია დაგვესხა ავს, ასეთი უბედურება დაგვატყდა თავს და ჩვენ შევინარჩუნეთ ვალუტის კურსი, რომელიც ჩემ დროს იყო 1.64. თუ ივანიშვილი გაგრძელდა საქართველოში, ღმერთმა არ ქნას, თუ თქვენ არ გამოიჩინეთ აქტიურობა, თუ თქვენ არ ჩაერთეთ და ისევ მიეცით საშუალება, იყიდოს არჩევნები, გარანტიას გაძლევთ, რომ სულ მალე კურსი იქნება მინიმუმ 4. მე ვიცი, რაზე ვსაუბრობ. ჩემ დროს იყო 1.64, ივანიშვილის დროს მალე იქნება 4, ამიტომ გამოვიფხიკოთ ყურები, გავახილოთ თვალები ყველამ, ვიმოძრაოთ ყველამ, ჩვენ ყველაფერი გამოგვივა, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

**ნიუპოსტი**

# ანჯელინა ჯოლი ფსიქიატრიულ კლინიკაში მოხვდა

ანჯელინა ჯოლი ფსიქიატრიულ კლინიკაში დააწვინეს, სადაც ის ორი კვირის განმავლობაში დარჩება.



გავრცელებული ინფორმაციით, მსახიობს კვლავაც აეკვიატა წონის შესახებ შიში. ამჟამად მსახიობი 44 კილოს იწონის. მისი სიმაღლე კი 170 სანტიმეტრია.

მსახიობმა იმავე კლინიკაში ერთხელ უკვე იმკურნალა. მაშინ ექიმები მას ანორექსიის დამარცხებაში დაეხმარნენ.

ამ ფაქტის გამო შეჩერებულია ფილმ „მალეფისენტი 2“-ის გადაღებები, სადაც ჯოლი მთავარ როლს თამაშობს.

**ნიუპოსტი**

# 13 აგვისტოს სამხედრო-სავალდებულო სამსახურში საშემოდგომო გაწვევა იწყება

13 აგვისტოს სამხედრო-სავალდებულო სამსახურში საშემოდგომო გაწვევა იწყება. საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 1.800 წვევამდელს გაიწვევენ, სპეციალურ პენიტენციარულ სამსახურში – 1.395-ს, შსს-ს გასამხედროებულ ქვედანაყოფებში – 1370-ს, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში – 200-ს.

საშემოდგომო გაწვევა 29 დეკემბრამდე გაგრძელდება.

**ნიუპოსტი**

# სკანვორდი



1. ცხენის კუდის ბეწვი; 2. რასაც ყური აღიქვამს; 3. სპირტიანი სასმელი; 4. თევზის წვნიანი; 5. სიტყვის ნაწილი, რომელსაც გრამატიკული მნიშვნელობა აქვს; 6. გამძლე; 7. შულოს ამოსახვევი ჩარხი; 8. რაიმე ცალკეული მოქმედება; 9. მექსიკელთა ღვთაება; 10. თევზის ძვალი; 11. სუბტროპიკული მცენარე; 12. ქვეყნის ერთპიროვნული მმართველი; 13. სურინამის დედაქალაქი; 14. ფრთოსანი ქალ-ურჩხული ბერძნულ მითოლოგიაში; 15. ...-მარათონი; 16. ქალაქი იაპონიაში; 17. კავშირი, ურთიერთობა; 18. „უკანასკნელი ...“; 19. წინამდებარე ჯირკვალი; 20. სამხედრო შენიღბვის სახეობა; 21. ეგვიპტელთა მეფე (ძვ.); 22. ქალაქი შვეიცარიაში; 23. ერთგვარი დოლი; 24. რანდევუ; 25. ქუთაისი ძველად; 26. სასიგნალო ტივტივა; 27. „... დაიდარდო!“; 28. ყვავილი; 29. ყარყატების ოჯახის ფრინველი; 30. ამაღლებული ადგილი; 31. შეტრიალებული ბერძნული ასო დელტა (დიდი); 32. ცხენის სხვადასხვა სვლა.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კიქსი; 2. პლისკა; 4. დიაფანი; 5. პრუსია; 6. დინდგელი; 7. მანგლისი; 10. აზოტი; 12. პაიჭაძე; 13. პროლოგი; 16. ლიმიტი; 17. კვაზარი; 18. პაროლი; 19. „კაჭიჭი“; 21. ოდიში.

**თარაზულად:** 3. პიკადელი; 8. ფიკუსი; 9. აბსოლუცია; 11. „ნიანგი“; 12. პლზენი; 14. ლაისტი; 15. მერინოსი; 20. ძლოკვი; 22. ბოლვერა; 23. მანე; 24. რისლინგი; 25. კივი; 26. კორომი; 27. ტიტრი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჰუდზონი; 2. „სინოპეკი“; 3. სტურუა; 4. პოემა; 5. დიამეტრი; 8. „ფალსტაფი“; 12. დოხა; 13. სალივანი; 14. მიკადო; 16. ნოკაუტი; 18. გორდა; 20. „სონი“.

**თარაზულად:** 6. სუფლიორი; 7. კატალოგი; 8. ფაგოტი; 9. კოალა; 10. რეფერატი; 11. „გარდიანი“; 15. კალიფორნია; 17. „შალახო“; 19. დიოსკურია; 21. ბახმარო; 22. დილიჟანსი; 23. „ჰილტონი“.

# ასტროპროგნოზი 13 აგვისტოსთვის



**ვერძი** – დღის პირველ ნახევარში ფინანსური კუთხით სიძნელეები შეგხვდებათ. ასევე, მოსალოდნელია უთანხმოება კოლეგებთან. ერიდეთ უსაგნო საუბრებს. **კურო** – განწყობა გიუმჯობესდებათ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. პირად ცხოვრებაში მცირედი იმედგაცრუება გელით. **ტყუპები** – გეგმების რეალიზაციაში დაბრკოლება შეგხვდებათ. წარმატებას მხოლოდ ნათესავებისა და მეგობრების დახმარებით მიაღწევთ. **კირჩხიბი** – ახალი იდეები მატერიალურად და მორალურად დაგაკმაყოფილებთ. შესაფერისი დღეა ხელშეკრულებებისა და საქმიანი გარიგებების გასაფორმებლად. **ლომი** – ვარსკვლავები არ გწყალობენ. სანამ რამეს მოიმოქმედებდეთ, მოსალოდნელ შედეგებზე დაფიქრდით. კონფლიქტის არიდებას დიდსულოვნების მეშვეობით მოახერხებთ. **ქალწული** – ცრუ ინფორმაცია ფინანსურად დაგაზარალებთ. მიენდეთ ინტუიციას. ნუ იქნებით მეტისმეტად კატეგორიული. **სასწორი** – საქმიანი მოლაპარაკებები წარმატებით ჩაივლის. ასაკოვან ადამიანებს ქრონიკული დაავადებები გაუმწვავდებათ. **ღრიანკალი** – შემოქმედებითად აქტიური და დატვირთული დღეა. ბავშვების მიმართ სიმკაცრის გამოჩენა რეკომენდებული არ არის. **მშვილდოსანი** – ბიზნესის სფეროში პერსპექტიულ წინადადებას შემოგთავაზებენ. მოულოდნელი შეხვედრის გამო შესაძლოა გეგმები შეგეცვალოთ. **თხის რქა** – კრიტიკული დღეა. არაკეთილსინდისიერი ადამიანების ჩარევამ შესაძლოა მატერიალური დანაკარგები გამოიწვიოს. **მერწყული** – სიყვარულისა და შემოქმედებითი იდეების განხორციელების თვალსაზრისით კარგი პერიოდია. ძველ პრობლემებს არასტანდარტული გზით მოაგვარებთ. **თევზები** – იოლად ნურავის მიენდობით. დიდია მოტყუების ალბათობა. ნებისმიერი კომერციული საქმიანობა დღეს გაუმართლებელია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# ვახტანგ მაჭავარიანი ლიანა ისაკაძის ფესტივალის საპატიო დირიჟორია

მაესტრო ვახტანგ მაჭავარიანი ლიანა ისაკაძის მიერ დაარსებული „ღამის სერენადების“ მეათე საიუბილეო ფესტივალის საპატიო დირიჟორია.



ფესტივალი 26 აგვისტოს ბათუმში საზეიმოდ გაიხსნება და მასში მონაწილეობას მიიღებენ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მუსიკოსები.

**ვახტანგ მაჭავარიანი, დირიჟორი:**

– რასაკვირველია, უმნიშვნელოვანესია ლიანა ისაკაძის ფესტივალი.

მედალს ორი მხარე აქვს – ჩვენ თუ გვინდა, საქართველოში შევინარჩუნოთ ის დიდი მონაპოვარი, რომელიც საქართველოს გააჩნია მუსიკალური კულტურის სახით, უნდა გვქონდეს ურთიერთობა პუბლიკასთან. ჩვენ პუბლიკისთვის ვასრულებთ ყველა ნაწარმოებს. თუ პუბლიკასაც უნდა გაიზარდოს და არ წავიდეს სრულიად სხვა მიმართულებით, რომელიც შეიძლება, ერთი მხრივ, კარგი გართობაა...

მაგრამ, თუ პუბლიკას უნდა, რომ დაეწაფოს ღრმაშინაარსიან მნიშვნელოვან მუსიკას, რომელიც მას გაამდიდრებს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას მივმართავ – დამიჯერეთ, ეს არის ერთადერთი გზა ადამიანის ჩაღრმავებისკენ და ადამიანის გაზრდისკენ.

დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემი მოწოდება შესმენილ იქნება და ამ ფესტივალს ეყოლება მრავალრიცხოვანი მსმენელი მთელი საქართველოდან.

ეს სამი კონცერტი, რომლებიც ბათუმში სასტუმრო შერატონში გაიმართება, ძალიან საინტერესო პროგრამით არის წარმოდგენილი და ძალიან მნიშვნელოვანი კონცერტებია.

# სვიმონ ჯანგულაშვილი: „ლიბერტარიანული მიდგომა ქართულ ხელოვნებას დაღუპავს“



სამების მგალობელთა გუნდის ხელმძღვანელ სვიმონ ჯანგულაშვილს მიაჩნია, რომ აკადემიური ხელოვნება ვერ იარსებებს პატარ-პატარა პროექტების ამარა და „თავისუფალი ბაზრის“ პრინციპების შესაბამისად:

– აკადემიურ ხელოვნებას, ძეგლთა დაცვას, ქართული ხელოვნების საერთაშორისო პოპულარიზებასა და უცხოური გამოცდილებისა და მიღწევების იმპორტს სჭირდება დოტაცია.

აკადემიური ხელოვნება ვერ იარსებებს პატარ-პატარა პროექტების ამარა და „თავისუფალი ბაზრის“ პრინციპების შესაბამისად.

ლიბერტარიანული მიდგომა ქართულ ხელოვნებას დაღუპავს და გაანადგურებს.

ბენდუქიძის იდეების განხორციელება რომ გვდომებოდა, მაშინ ნაცებს დავტოვებდით 2012 წელს.

ხელოვნება საზოგადოებრივი სიკეთეა და საზოგადოებამ უნდა დააფინანსოს იგი გადასახადებიდან. ასეა ყველა მოწინავე ხელოვნების მქონე ქვეყანაში.

# გუდიაშვილის მოედანზე ხმლები აღმოაჩინეს

მერიისა და თბილისის განვითარების ფონდის პროექტის „ახალი ტფილისის“ ფარგლებში მიმდინარე სამუშაოების დროს გუდიაშვილის მოედანზე მორიგი არქეოლოგიური მასალა, ორი ისტორიული არტეფაქტი – ხმლები აღმოაჩინეს.

აღმოჩენილი ხმლები გამოსაკვლევად საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს გადაეცემა, რომელიც სარეაბილიტაციო სამუშაოების არქეოლოგიურ ზედამხედველობას ახორციელებს.



ამავე სამუშაოების ფარგლებში ივნისის ბოლოს ახოსპირელის №4-ში, სარდაფში განლაგებულ სხვადასხვა ზომის ქვევრში კერამიკული ნაწარმი დიდი, საშუალო და მცირე ზომის, მოჭიქული სამი დოქი, საშუალო და მცირე ზომის ჭინჭილაც აღმოჩნდა. ისინი ზუსტად იმეორებენ გუდიაშვილის მოედანზე, ახოსპირელის №7/2-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის სარდაფში გამოვლენილ კერამიკულ ჭურჭელზე დატანილ დამღას, წვეროსანი მამაკაცის ანფასს, რომელსაც პირობითად „თბილისელი“ ეწოდა.

ივნისში, ახოსპირელის №4-ის სარდაფში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს, სხვადასხვა ზომის ქვევრი აღმოაჩინეს.

# ბექა ჩხაიძემ ცოლი მოიყვანა

მომღერალმა ბექა ჩხაიძემ ცოლი მოიყვანა. მისი რჩეული ანი ჩხეიძეა. წყვილმა ქორწილი მეგობრების წრეში გადაიხადა და გაბედნიერების ფოტოები სოციალურ ქსელში გაავრცელა. ახლადშეუღლებულებმა უამრავი მილოცვა და დადებითი სურვილები მიიღეს.

ბექა კარგა ხანია ფართო საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. წლების წინ მომღერალი და ბიზნესმენ ვანო ჩხარტიშვილის შვილი გაიპარნენ, რასაც სიტუაციის გამწვავება მოჰყვა – მომღერალი ციხეში მოხვდა და საპყრობილე მხოლოდ ორთვიანი პატიმრობის შემდეგ დატოვა.



მოგვიანებით მომღერლის საყვარელი ქალბატონი ტელეწამყვანი ეკო ფანგანი გახდა, თუმცა მათი ურთიერთობაც ვერ აეწყო და ისინი ერთმანეთს დაშორდნენ.

ბექამ თავისი რჩეული თითქოს იპოვა და თეონა ჯაფარიძეზე ყველა ქართული ტრადიციის დაცვით დაქორწინდა, თუმცა წყვილი რამდენიმე თვეში ერთმანეთს დაშორდა, რის შემდეგაც მომღერალი მონასტერში წავიდა.

# მიშო სულუხია ბათუმელებს: „თქვენს ადგილას თავს შეურაცხყოფილად ვიგრძნობდი“

მომღერალი მიშო სულუხია ბათუმელების გულგრილობით გაკვირვებულია. ბათუმის აეროპორტში ინსტრუქტაჟი თურქულ ენაზეა, ქალაქში მაღაზიებია, სადაც თურქული პროდუქცია იყიდება და მათ არანაირი ქართული განმარტება არ აქვს:



– პატრიოტი ბათუმელების საყურადღებოდ. თქვენს ადგილას თავს შეურაცხყოფილად ვიგრძნობდი. აეროპორტში ხომ თურქულად დაგვიწერეს უკვე ინსტრუქტაჟი, შავმა და გაუგებარმა ხალხმა ხომ გადაწონა ადგილობრივთა რაოდენობა და იალჩინ და აბდულ მარკეტები გვირგვინია უკვე, სადაც მხოლოდ თურქული პროდუქცია იყიდება არანაირი ქართული განმარტებით, შამპუნს ინტუიციით მივაგენი და მენეჯერმა კიდევ კინაღამ გამომლანძღა შენიშვნისთვის.

ბათუმში რომ ვცხოვრობდე, ყოველდღე შევიდოდი პრეტენზიული კლიენტის სტატუსით ასეთ მაღაზიებში, სანამ შედეგს არ დავინახავდი. სად არის შესაბამისი სამსახურები?

თურქები თურმე კულუარულად კი არა და უკვე ღიად საუბრობენ, ოდესღაც ბათუმი ჩვენი იყოო...

ხომ არ ვფიქრობთ, რომ ხშირად ჩვენ ვაგვიანებთ ხოლმე რაღაცებზე რეაქციებს?

# ეროვნულ ბიბლიოთეკაში აგვისტოს კედელი გაიხსნა

„საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის“ ვახტანგ VI-ის სახელობის VI კორპუსში აგვისტოს ომის სახელობის მემორიალური კედელი გაიხსნა.



„აგვისტოს 10“ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოსა“ და „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის“ ერთობლივი პროექტია, რომლის ფარგლებშიც ბიბლიოთეკის ფასადური კედელი აგვისტოს თემატიკის არტ ნამუშევრით მოიხატა და მას „აგვისტოს კედელი“ დაერქვა.

კედლის სტენსილი რუსეთ-საქართველოს ომის თემატიკით არის დატვირთული და არტისტის მიერ დანახულ ომის ამსახველ სიმბოლოებს ატარებს. ნახატის იდეაზეც და შესრულებაზეც არტისტმა გიორგი გაგოშიძემ იგივე გაგოშამ იმუშავა.

**გიორგი კეკელიძე:**

– აგვისტოს კედელი გავხსენით. ტკივილისა და შეხსენების კედელი. ასეთი დღეები ყველას უნდა აერთიანებდეს, მიუხედავად პოლიტიკური შეხედულებებისა და მიხარია, რომ კედელთან დანარჩენ საკითხებში განსხვავებული ადამიანები მოვიდნენ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

## ქალბატონი ციალა კალმახელიძის გახსენება

ციალა, ჩემო ერთგულო მეგობარო, დღეს შენი დაბადების დღეა. შენი საყვარელი ძმა, ბატონი დავითი, შესანდობარს დალევს. თქვენი დედმამიშვილობა სამაგალითო იყო.

შენ უზომოდ კეთილი იყავი, უანგარო ქველმოქმედი, ყველაზე ზრუნავდი, მფარველობდი, ეხმარებოდი.

წლების მანძილზე მუშაობდი ქალაქის მთავარი ბიბლიოთეკის გენერალურ დირექტორად. იყავი შესანიშნავი ხელმძღვანელი, ნამდვილი პროფესიონალი, ქართული კულტურის ამაგდარი, „თბილისის საპატიო მოქალაქე“, „იმედის გმირი“.

ციალა, შენდამი მოძღვნილ წიგნში „ქალი-სათნოება“, შესულია საზოგადო მოღვაწეების, თანამშრომლებისა და სხვათა მადლიერებითა და სიყვარულით გამსჭვალული წერილები, მაგრამ ქვეყნად არიან ულირსი და უმადური ადამიანებიც, რომლებმაც გული გატკინეს. შენ მართალი იყავი ყველას წინაშე.

ნათელში იყავი, ჩემო დაუვიწყარო მეგობარო!

*ნანული გოგატიშვილი*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## კალეიდოსკოპი

### მამაკაცმა ცოლის თავიდან მოსაშორებლად თავი გარდაცვლილად გაასაღა

ჰონდურასელი მამაკაცი საკუთარი სიკვდილის გათამაშებას შეეცადა, რათა ცოლი, რომელმაც ფულის გამუდმებული თხოვნით თავი მოაბეზრა, თავიდან მოეშორებინა.



27 წლის დენი გონსალეზმა, რომელიც აშშ-ში მუშაობს, საკუთარ მეუღლეს, რომელიც ჰონდურასში იმყოფება, გაუგზავნა ფოტოსურათები, რომელშიც ის მიცვალებულივით გამოიყურება. მან ნესტოები ბამბით გამოიტენა და თეთრი ზეწარი გადაიფარა, რათა მის ცოლს ჰგონებოდა, რომ ის პროზექტურაში იმყოფება. გარდა ამისა, მამაკაცმა აღნიშნულ სურათებს თან დაურთო ყვავილებით მოფენილი კუბოს გამოსახულება.

შეტყობინებაში ასევე აღნიშნული იყო, რომ გონსალეზის გარდაცვალების მიზეზი კიბო და ასთმა გახდა. აშშ-ში მომუშავე ჰონდურასელის სიკვდილის ამბავმა ადგილობრივ მასმედიამდეც მიაღწია, შემდეგ კი – მის ახლო ნათესავებამდეც. მისმა ახლობლებმა შენიშნეს, რომ სურათებზე „გარდაცვლილი“ ხითხითებს, ხოლო იქაურობა სულაც არ ჰგავდა პროზექტურას: ის, უბრალოდ, საწოლში იწვა.

ჟურნალისტებმა გონსალეზი მოძებნეს და მან აღიარა, რომ ცოლის გაუმაძღრობას ვეღარ გაუძლო. მისი თქმით, მეუღლე ყოველკვირა ურეკავდა და ყვირილით მოითხოვდა, მისთვის უფრო მეტი და მეტი თანხა გაეგზავნა.

– მან მომთხოვა, რომ მისთვის მობილური ტელეფონი გამეგზავნა. მე მას უკვე ექვსი ცალი გავუგზავნე, ის კი ყოველ ჯერზე მეუბნებოდა, რომ ტელეფონი მოჰპარეს, – განაცხადა მამაკაცმა.

### ბრიტანელი ღორის ქუჩაში გასეირნებისთვის სასამართლოში აღმოჩნდა

დიდი ბრიტანეთის მკვიდრი პოლიციამ იმის გამო დააკავა, რომ ის ღორს ქუჩაში საბელის გარეშე ასეირნებდა.



ინგლისის ქალაქ ნორიჯის პოლიცია ადგილზე გამოძახების შემდეგ მივიდა, ვინაიდან ერთ-ერთმა ადგილობრივმა დაიჩივლა, რომ „დაუბმელი“ ღორი ძაღლთან ერთად დარბოდა. ამ უკანასკნელმა კი ერთ-ერთ ოფიცერს უკბინა.

ცხოველების პატრონი დააპატიმრეს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და აგრესიული ცხოველების უკონტროლოდ გაშვების ბრალდებით. გარდა ამისა, პოლიციამ ადგილობრივი კანონების კრებულში კიდევ ერთი მოთხოვნა აღმოაჩინა. მასში მითითებულია, რომ ნორიჯის მცხოვრებლებმა ღორი ქუჩაში გასეირნების დროს საბელით უნდა აკონტროლონ.

მამაკაცს ღორი ცხოველთა დაცვის სამეფო საზოგადოებამ ჩამოართვა. პოლიციელმა, რომელმაც ცხოველებს ფოტოსურათები გადაუღო, განაცხადა, რომ მას სიტყვები არ ჰყოფნის.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**13 აგვისტოსთვის**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.5339

ევრო — 2.9061

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2376

100 რუსული რუბლი — 3.7912

**ამინდის პროგნოზი 13 აგვისტოსთვის**




## პატარა იუბილარმა თავი ტორტში ჩაყო და ცეცხლი წაეკიდა

ჩილეში ბავშვი საკუთარი დაბადების დღის ზეიმის დროს ტორტისკენ დაიხარა და შემთხვევით ცეცხლი წაეკიდა.



ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეოს კადრებში ჩანს, რომ ბიჭი, იმის მაგივრად, რომ სანთელს სული შეუბეროს და ჩააქროს, სახეს ტორტში ყოფს, რათა ნაჭერი მოაკბიჩოს. ანთებული სანთლიდან ცეცხლი იმწამსვე მოედო ბავშვის თმებს. ირგვლივ ყვირილი ისმის, ხოლო მის გვერდით მდგომი სტუმრები სწრაფადვე ახერხებენ ცეცხლის ჩაქრობას.

ბავშვმა ტირილი დაიწყო, ხოლო დედა მას მოეხვია და ჩაიხუტა. აღსანიშნავია, რომ ამ ვიდეორგოლმა 7,1 მილიონი ნახვა მოაგროვა.

## ნიკარაგუაში პლაჟიდან ზღვის კუ გაიტაცეს

უსუსურ მდგომარეობაში მყოფი ზღვის კუ ნიკარაგუის პლაჟიდან გაიტაცეს, რომლის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გაავრცელა.



ბრაკონიერმა ქალაქ სან ხუან დელ სიურის დაცული პლაჟიდან ხალხის თვალწინ, რომლებიც იქ ისვენებდნენ, კუ წაიყვანა. ვიდეოზე ჩანს, რომ რეპტილია მხოლოდ კიდურებს ასავსავებდა იმ დროს, როდესაც მამაკაცს იმ მხარზე შემოდებული მიჰყავდა.

როგორც ცხოველთა დაცვის არაკომერციული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ლიზა გონზალესი აცხადებს, აღნიშნული ვიდეო ბრაკონიერთა ახალ სისასტიკეზე მეტყველებს: სავარაუდოდ, მათ ცხოველი იმისთვის წაიყვანეს, რომ მან კვერცხები დადოს, შემდეგ კი თავად მის ხორცს გაყიდიან.

ზეთისხილის კუ ნიკარაგუაში ბინადარი კუების ხუთი სახეობიდან ერთ-ერთია. ყოველ წელს ამ ქვეყნის სანაპიროს დაახლოებით 150 ათასი ზეთისხილის კუ სტუმრობს კვერცხების დასადებად.

## ბრიტანელი მთვრალი მძღოლი ნარკოტიკებზე ჩავარდა

მთვრალ მდგომარეობაში მყოფი დიდი ბრიტანეთის მკვიდრი პოლიციამ გააჩერა და მან რაღაცნაირად მოახერხა სიმთვრალის ტესტის გავლა.

ნორტამბერლენდის საგრაფოს ქალაქ აშინგტონის პოლიციის განცხადების თანახმად, დაკავების დროს 22 წლის ნათან ვუდს ფეხზე დგომა უჭირდა. ის განყოფილებაში გადაიყვანეს და ტესტის გავლა მოსთხოვეს. მან აჩვენა, რომ მის სისხლში სპირტის შემცველობა დასაშვებ ოდენობას შეესაბამებოდა. სამართალდამცავები აშკარად ხედავდნენ რა, რომ მამაკაცი აშკარად მთვრალი იყო, მის შესამოწმებლად სხვა მოწყობილობა მოიტანეს, მაგრამ მანაც იგივე შედეგი აჩვენა.




მას ასევე აუღეს სისხლის ნიმუშები, რომელშიც კოკაინი იქნა აღმოჩენილი, ასევე პრეპარატები დიაზეპამი, ტემაზეპამი და ნორდაზეპამი. მან აღიარა, რომ სანამ მანქანის საჭეს მიუჯდებოდა, 10 ცალი სამბუკი დალია.

აღსანიშნავია, რომ მას მხოლოდ დროებითი მართვის მოწმობა ჰქონდა, ყოველგვარი დაზღვევის გარეშე.

ვუდმა ნარკოტიკული თრობის ქვეშ მანქანის მართვაში თავი დამნაშავედ ცნო და აღნიშნა, რომ საერთოდ არაფერი ახსოვდა, არც ის, თუ როგორ გაიარა ორჯერ სიმთვრალის ტესტი.

სასამართლომ ვუდს 30 თვით ავტომობილის მართვა აუკრძალა და 150 ფუნტი სტერლინგითაც დააჯარიმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

●●●

ისტორიის გამოცდაზე მასწავლებელი მოსწავლეს ეკითხება:

– აბა, რა გირჩევნია, ერთი რთული შეკითხვა დაგისვა თუ ორი ადვილი?

– უკეთესი იქნება ერთი და რთული.

– კარგი, მაშინ მიპასუხე, სად გაჩნდა პირველი ადამიანი?

– ლანჩხუთში.

– რატომ?

– ეეე... ეგ უკვე მეორე რთული კითხვაა!

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, რაღაც ვერ ვისვენებ, საკუთარ ადგილს ვერ ვპოულობ.

– ე.ი. გახვალ დერეფანში, მერე მარცხნივ შეუხვევ და იქვეა სამზარეულო.

●●●

ორი მეზობელი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– დღეს ბავშვს ჩუპაჩუპსს ვუხსნიდი...

– მერე?

– ნეტა ეს შობელძაღლები ასე ფეხსაცმელებს აწებებდნენ!

●●●

სტუმარი მასპინძელს ეკითხება:

– შეიძლება, თქვენი ტუალეტით ვისარგებლებ?

– ჩვენთან წყლის მრიცხველები აყენია...

– ნუ გეშინიათ, არ ჩავრეცხავ!

●●●

დედა ბავშვს ეუბნება:

– შვილო, წადი და სახე კარგად დაიბანე.

ცოტა ხნის მერე, ბავშვი დედას სააბაზანოდან გამოსძახებს:

– დედიკო, ყურები სახეს ეკუთვნის თუ უკვე კისერია?

●●●

სპექტაკლის ნახვის შემდეგ ორი კრიტიკოსი ერთმანეთს საკუთარი შეხედულებების გასაზიარებლად შეხვდა. ერთ-ერთმა დაამთქნარა. ამაზე მეორემ უპასუხა:

– მეც სწორედ მაგის თქმა მსურდა, კოლეგავ...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**






## სტალინის ნიღაბმა ბრიტანელი გაამდიდრა



დიდ ბრიტანეთში აუქციონზე 13,5 ათას ფუნტ სტერლინგად გაიყიდა იოსებ სტალინის სიკვდილის შემდგომი სახისა და ხელის მტევნების ნიღბები, რომლებიც ბრინჯაოსგან არის დამზადებული.

ლოტი კენტერბერის აუქციონის სახლში იქნა გამოტანილი გასაყიდად. ითვლება, რომ ის ერთ-ერთი იმ 12-დან, რომლებიც მანამდე იქნა დამზადებული, სანამ სტალინის სხეულს ბალზამირებას გაუკეთებდნენ. აღნიშნული ნივთები შუამავლის დახმარებით ტელეფონით შეიძინეს.

ნიღბები აუქციონის სახლს არც ისე დიდი ხნის წინ გადაეცა. ისინი ბრიტანელმა თავისი პაპის სახლის სხვენში იპოვა და რომელიც თავის დროზე სავაჭრო ფლოტში მსახურობდა. შემფასებელმა ლოტის გაყიდვის შემდეგ საზოგადოების წინაშე გამოსვლისას აღიარა, რომ ოდნავ გაოგნებული დარჩა, როდესაც მამაკაცმა მას ეს ნივთები წარუდგინა და ჰკითხა, მათი ვინმესთვის მიყიდვა თუ შეიძლებოდა.

2012 წელს მსგავსი ნიღაბი აუქციონზე 3,6 ათას ფუნტ სტერლინგად გაიყიდა. ამიტომ ნაპოვნის აუქციონზე 1,5-2 ათას ფუნტად გამოტანა გადაწყვიტეს.

– არავინ მოელოდა, რომ მათი ფასი 13,5 ათას ფუნტ სტერლინგს მიაღწევდა. მისი მფლობელი აღფრთოვანებული დარჩა, – აღნიშნა შემფასებელმა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი იოსებ სტალინი 1953 წელს 74 წლის ასაკში გარდაიცვალა. სიკვდილის შემდგომ ნიღბები მოქანდაკე მატვეი მანიზერმა დაამზადა, რომელიც იმ დროს სამხატვრო ხელოვნების აკადემიის ვიცეპრეზიდენტი იყო.

## უცნობმა საცეცებიანმა არსებამ ვიეტნამელები საგონებელში ჩააგდო



ვიეტნამის პროვინცია კიენზიანგის ზღვის სანაპიროზე უცნაური არსება შენიშნეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

ის დატოტვილ მცენარეს წააგავდა, თუმცა მისი ყოველი ტოტი ათეულობით მოძრავი საცეცით ბოლოვდებოდა.

– არ ვიცი, ის ცხოველია თუ მცენარე, თუ კიდევ სხვა რამე, – განაცხადა ექსკურსიამძღოლმა დუ ნამ დუმ, რომელმაც უცნაურ არსებას მიაგნო.

ადგილობრივები, რომლებმაც თავი არსების სანახავად მოიყარეს, ადრე მის მსგავსს არაფერს გადასწყდომიან. საბოლოოდ არსება ისევ უკან ზღვაში დააბრუნეს.

– ეს მონსტრია, – ხუმრობით განაცხადა, ერთ-ერთმა იქ მყოფმა, – ერთხელაც ის ოკეანიდან დაბრუნდება და მაშინ 10-ჯერ უფრო დიდი იქნება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი



**თარაზულად:** 4. ლურჯი საღებავი; 5. პურის ცომისგან დამზადებული საკვები პროდუქტი; 6. ლუთერანული ეკლესია; 7. გარკვეული სამუშაოს შემსრულებელი ხელსაწყო; 8. ბრგე და ღონიერი კაცი; 10. ანდრეი ტარკოვსკის ფილმი; 13. ცეცხლსასროლი იარაღი; 15. ჭალი; 16. კარგი ამინდი; 17. იტალიური ღვეზელი; 20. მტაცებელი ცხოველი; 21. მოთელილი ნაბდის ჩექმა; 22. ფრანგული ჯიშის ვაშლის ხე; 23. შხამიანი გველი ავსტრალიაში.

**შვეულად:** 1. რისამე ესკიზების მკეთებელი მხატვარი; 2. ჩრჩილებისგან დასაცავი კრისტალური ნივთიერება; 3. გეომეტრიული სხეული; 4. საზღვარგარეთიდან საქონლის შემოტანა; 5. ღვინის შესანახი ნაგებობა; 9. საჭიდაო ხალიჩა; 11. ფრანგული ცეკვა; 12. ალლუმი; 14. რამე ნივთიერების წვრილი მარცვლები; 18. მტაცებელი ფრინველი; 19. სახელმწიფო აზიაში.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*